ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 17 მარტი, 2017 №64 (7299) ფასი: 50 თეთრი

## საქართველოს საზღვრებთან ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგია ძლიერდება



გვ.5

როგორ ებმებიან რადიკალი ისლამისტების ხაფანგში ბავშვები

17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

ნიურნბერგის პროცესი




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# კალაძე ხელისუფლებას აშანტაჟებს?



გვ.3

„თვითმმართველობის არჩევნებმა, შესაძლოა, „ოცნება“ დაშალოს“





გვ.4

## თეონა ჭალიძე: „უფასო სასადილოებით სარგებლობას კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი ითხოვს“

ლევან ხაბეიშვილი: „გამგეობები „ოცნების“ მხარდამჭერთა დასასაქმებელ ადგილად გადაიქცა“



## „მარგველაშვილმა თავი ისე დაიკნინა, რომ კობახიძე ვეღარაფერს დააკლებს“



გვ.2



გვ.2

## ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პარტიის წევრი არ უნდა იყოს“



გვ.5

## ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნები უკანონოა“



## ესპანეთის პოლიცია: „საქართველოს 48 მოქალაქე გასულ თვეში დავაკავეთ“

## მშენებლობის ნებართვაში 10.000 დოლარს ითხოვდნენ — ორი პირი დაკავებულია



გვ.7

ISSN 1987-9385



## ქუთაისში ბენზინგასამართი სადგური „მაქსიმუმი“ დააყადაღეს



## ვის გადაეცა ქონება 1 ლარად?!

## ლევან კალანდაძე: „გადასახადების შემცირებაში ცუდი არაფერია“



გვ.6



## დავით სერგეენკო: „მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსება უკლებლივ ყველა ჯგუფს შეუნარჩუნდება“

# „მარგველაშვილმა თავი ისე დაიკნინა, რომ კობახიძე ვეღარაფერს დააკლებს“

## მამუკა გამყრელიძე: „სულ მქონდა ეჭვი, რომ მარგველაშვილი ივანიშვილთან კავშირებს საბოლოოდ არ წყვეტს“

ნონა ცაბაძე

საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ „ახალ თაობის“ კითხვებს ექსპერტი **მამუკა გამყრელიძე** პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, არასამთავრობო ორგანიზაციები საკონსტიტუციო კომისიასა და მის თავმჯდომარეს საგანგებო განცხადებით მიმართავენ. მათთვის მიუღებელია ის ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც უმრავლესობა აპირებს. რა სურვილები აქვს ხელისუფლებას?***

– კონსტიტუციის გადაკერვა-გადმოკერვას უკვე წლებია ვხედავთ. ეს პირველი შემთხვევა არ არის. ყველა ხელისუფლება ცდილობს, ეს კონსტიტუცია თავის გემოვნებაზე მოირგოს. ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ კონსტიტუცია არ არის შარვალი, რომ გადააკეთო და შენს ტანზე მოირგო! დღესაც იმავე მცდელობას აქვს ადგილი. მთავარი ცვლილება კონსტიტუციაში, წესით, საარჩევნო სისტემა უნდა იყოს.

***– საარჩევნო კანონმდებლობაშიც ხომ იგეგმება ცვლილებები? ითქვა, რომ უქმდება მაჟორიტარული სისტემა, თუმცა პროპორციულ წესთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანია.***

– თუ მაჟორიტარული არჩევნები არ იქნება, ქვეყანას ეს მხოლოდ წაადგება. აუქმებენ ბლოკებს. არც ეს მგონია, რომ სწორი გადაწყვეტილება იყოს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბლოკების შექმნა პოლიტიკურმა პარტიებმა ფულის შოვნის მახედ გაიხადეს. ეს თუ გაუქმდება, მე მოვისმინე სხვადასხვა ვარიანტი, სხვანაირად როგორ მოახერხებენ ამ ფულის შოვნას.

***– როგორ?***

– ეს მამაძაღლობა და იმის მცდელობა, რომ პარტიებმა ბიუჯეტს ფული დასტყუონ, ასე მარტივად არ გაქრება და მაინც აქტუალური იქნება.

***– რას ფიქრობთ ამ ახალ ვერსიაზე, რომ თუკი არჩევნებში მონაწილე პარტია ბარიერს ვერ გადალახავს, მისი მანდატები მხოლოდ უმრავლესობას დარჩება. ეს რა პრინციპია?***

– ეს ძალიან არასწორი, კატეგორიულად მიუღებელია! ალბათ, ყველაზე მართებული იქნება, რომ იყოს პროპორციული, არ იყოს არანაირი გადანაწილება, ყველამ მიიღოს იმდენი, რამდენიც დაიმსახურა. ასევე კარგია, თუ ასეთი მაღალი ბარიერი არ იქნება. ცოტათი მაინც უნდა დაიწიოს. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, მით უმეტეს, თუ საპარლამენტო რესპუბლიკა გვინდა, მაშინ უფრო დაბალი ბარიერი გვჭირდება, რომ პარლამენტში ბევრი პარტია იყოს წარმოდგენილი.



ამ ხელისუფლების პირობებში კარგსა და დადებითს არაფერს ველოდები.

***– შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი დარტყმები საარჩევნო კოდექსსა და პრეზიდენტის ინსტიტუტზე ხორციელდება?***

– სხვა რაზე უნდა იყოს?! მოსმენების კანონია და იმდენად აბსურდულია ეს კანონი, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. დიდი იმედი მაქვს, რომ ვენეციის კომისია, უბრალოდ, ამ კანონს არ დაუშვებს და უკიდურესად უარყოფით დასკვნას მისცემს. აბსურდულია, სუს-მა სუს-ში შექმნა ახალი სუსი! ეს სრული სიგიჟეა.

***– ვის ხელში უნდა ყოფილიყო გასაღები?***

– ეს რომ იყოს საპარლამენტო დაქვემდებარების ან საპრეზიდენტო, მისაღები იქნებოდა, ან ექვემდებარებოდეს უშიშროების კომიტეტს, თუნდაც ნდობის ჯგუფს, რომელიც პარლამენტშივე შეიქმნებოდა.

***– ანუ პარლამენტის ჩართულობის მომხრე ხართ?***

– ნდობა და კონტროლი რომ იყოს, ასე უნდა გაეკეთებინათ. აქ კი რა მივიღეთ? სუს-მა თავის წიაღში ახალი სუსი შექმნა!

***– არის მოლოდინი, რომ პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, თუმცა, გაკეთდა განცხადებები უმრავლესობის მხრიდან, რომ ეს ბარიერი ვერ იქნება.***

– გაშმაგებული შეტევა ხორციელდება პრეზიდენტზე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან. ამ კონკრეტულ პიროვნებას, მარგველაშვილს რომ უქნევ თითს, თითქოს პატარა ბავშვი იყოს, პარალელურად, შენ თითს უქნევ პრეზიდენტის ინსტიტუტს, რაც სრულიად მიუღებელია!

***– პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებები გაქვთ მხედველობაში?***

– სამარცხვინოა ასეთი ინფანტილური ტექსტების მოსმენა პარლამენტის თავმჯდომარისგან. ის საკმაოდ ზრდასრულია და, არ იქნებოდა ურიგო, ცოტა ჭკუა დააყოლოს საკუთარ გამონათქვამებს. მისი უდიერი მიმართვები პრეზიდენტის ინსტიტუტს აკნინებს და არა – მარგველაშვილს, რომელმაც ისე დაიკნინა თავი, რომ კობახიძე ვეღარაფერს დააკლებს, მეტად ვეღარ დააკნინებს. მარგველაშვილის რეიტინგი ნულს ქვემოთ ჩამოვიდა! თავის მხრივ, მარგველაშვილს დაწყებული აქვს ახალი კამპანია.

***– არჩევნებისთვის ემზადება? ითქვა, რომ ახალი პოლიტიკური თამაში წამოიწყო. ასეა?***

– რა თქმა უნდა, მან საარჩევნო კამპანია დაიწყო, გარს შემოიკრიბა ნაკლებად მნიშვნელოვანი პარტიები და შეუდგა ამ პროცესს. თუმცა, აქვე გეტყვით, როდესაც ადამიანს პოლიტიკური ინსტინქტები არ გააჩნია, ის უკვე განწირულია მარცხისთვის. როგორც ხისგან არ გამოვა რკინის მაშა, ისე მარგველაშვილისგან არ გამოვა პოლიტიკოსი!

***– რატომ არ გამოვა?***

– არ გამოვა. ვერ ერკვევა პოლიტიკაში. ხომ ნახეთ, რა გააკეთა ორიოდე დღის წინ?! 170 კაცი დაპატიჟა დიდი ამბით, გამოვიდა მოხსენებით და მერე უთხრა, აბა, მეგობრებო, სახლებში წაბრძანდით, მე ეს საკითხები დიპკორპუსთან უნდა განვიხილოო. ეს დამოკიდებულება მარგველაშვილს წინ დახვდება. პოლიტიკური ინსტინქტი საერთოდ არ გააჩნია. არანაირი გათვლა და წინმჭვრეტელობა, რაც პოლიტიკას ასე სჭირდება, მარგველაშვილს არ აქვს! ამდენ ხალხს ეპატიჟები საზეიმო ვითარებაში და სიტყვასაც არ აძლევ, ისე უშვებ უკან. თუ მათი ჩართულობა, აზრის გაგონება გინდა, ეს ხომ უნდა გამოხატო?! ახლა რაღაც კარდაკარი მოიგონა, ივლის ასე აღმა-დაღმა, ბიუჯეტი რაც აქვს, იმას დახარჯვა ხომ უნდა!

***– ანუ მისი მცდელობები წარუმატებელია?***

– დიახ, წარუმატებელია. სულ მქონდა ეჭვი, რომ ბატონი მარგველაშვილი ბატონ ივანიშვილთან კავშირებს საბოლოოდ არ წყვეტს.

***– რის თქმა გინდათ, რომ მათ შორის არსებული დაპირისპირება სიცრუეა, სინამდვილეში არ არსებობს?***

– რატომღაც სულ ასე მეგონა. თუ შეიქმნება რესპუბლიკელების, ევროპული საქართველოსა და თავისუფალი დემოკრატების ერთგვარი ნეოლიბერალური გაერთიანება და მას სათავეში ჩაუდგება ჩვენი ე.წ. პრეზიდენტი, მაშინ ვიტყვი, რომ ეს გაერთიანება ძალიან აწყობს ივანიშვილს.

***– ანუ თავად ივანიშვილი შექმნის?***

– ასე პირდაპირ არ ვიტყოდი, თუმცა ეს გაერთიანება მას ძალიან აწყობს.

***– რა თვალსაზრისით?***

– იმ თვალსაზრისით, რომ ეს გაერთიანება ძალიან მნიშვნელოვანი ლეღვის ფოთოლი იქნება დასავლეთის თვალში. ის ლეღვის ფოთოლი, რომელიც ალასანიასა და უსუფაშვილის სახით ჰყავდა, გაქრა, აღარ არსებობს და, თუ ასეთი გაერთიანება შეიქმნება და შემდეგ ის პარლამენტშიც მოხვდება დაახლოებით 8-10%-ით, ეს იქნება დემოკრატიის მნიშვნელოვანი სახე.

***– ანუ ნაციონალების ჩანაცვლება უნდა მოხდეს?***

– რა თქმა უნდა! ნაციონალები არის ის ძვალი, რომელიც ყელში აქვს გაჩხერილი ბიძინა ივანიშვილს. სამზადისი უკვე დაწყებულია. შესაძლოა, ეს ყველაფერი ადგილობრივი არჩევნებისთვის ვერ მოესწროს, თუმცა ეს სვლები ძალიან მალე გამოჩნდება.



# ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პარტიის წევრი არ უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ავთანდილ, ვახტანგ ხმალაძე გამოდის იდეით, რომ პრეზიდენტი აირჩიოს არა პარლამენტმა, არამედ 300-კაციანმა ამომრჩეველთა კოლეგიამ, რომელიც დაკომპლექტდება 150 პარლამენტის წევრითა და 150 აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატით. იზიარებთ ამ იდეას?***

– ეს იდეა არ არის ახალი. ამ წესით ბევრ ქვეყანაში ირჩევა პრეზიდენტი, მაგრამ ყოველთვის დომინანტურ კომპონენტს პარლამენტი წარმოადგენს. თუმცა, შემოთავაზებული ვარიანტი შერბილებულია, ამდენად, ვერ გეტყვით, რამდენად დათანხმდება მას კომისია. რა თქმა უნდა, ეს ვარიანტი სჯობია მხოლოდ პარლამენტის მიერ არჩეულს. თუმცა, თუ 150-150-ზე იქნება, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა პარლამენტს ექნება.

***– როგორ?***

– დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით. მოგეხსენებათ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში, რომლებმაც უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, დომინანტური პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნებაა“. ამდენად, 150-იანი კომპონენტიდან დიდი უმრავლესობა ისევ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იქნება.

***– ბატონო ავთანდილ, თქვენ მხარს პირდაპირი წესით არჩევნებს უჭერთ?***

– დიახ. ჩემი პოზიციაა, რომ პრეზიდენტი ხალხმა პირდაპირი არჩევნებით უნდა აირჩიოს.

***– ოპოზიცია აცხადებს, რომ არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, სჯობია, პირდაპირი წესით ავირჩიოთ პრეზიდენტი. თუ ამომრჩეველთა კოლეგია აირჩევს პრეზიდენტს, მისი ლეგიტიმაციის ხარისხი როგორი იქნება?***

– რა თქმა უნდა, უფრო მაღალი იქნება, ვიდრე პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტის, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ხარისხი სხვაა.

***– 2018 წელს პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირი წესით ჩატარდება?***



– პარლამენტის თავმჯდომარე, რამდენადაც ვიცი, კვლავ თავის პოზიციაზე რჩება, რომ 2018 წელს პირდაპირი გზით ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები.

***– პრეზიდენტის ასაკობრივი ცენზის 45 წლამდე გაზრდაზეა საუბარი. ეთანხმებით?***

– არა, არ ვეთანხმები. მსოფლიოში პრეზიდენტების გაახალგაზრდავება მიმდინარეობს და ჩვენ უკან უნდა წავიდეთ?! მაგალითად, იტალიის პრეზიდენტი 50 წლის უნდა ყოფილიყო, მერე 45 გახადეს, ბოლო ცვლილებით 40 წლამდე შეამცირეს მისი ასაკი. 35 წელი, რომელიც ბევრი ქვეყნის კონსტიტუციით არის დადგენილი, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის და სხვ. ქვეყნის პრეზიდენტის ასაკად, სულაც არ არის შემთხვევითი. 35 საკრალური ციფრია, ძველი რომიდან მოდის.

***– თუმცა, რიგითი მოქალაქეებისგან მოისმენთ, რომ პრეზიდენტისთვის ასაკიც შესაფერისი უნდა იყოს. მას ასაკობრივი გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს.***

– 35 წელი არ არის ამისთვის საკმარისი?! მეორე არგუმენტიც არის აქ – პრეზიდენტი აქტიური უნდა იყოს. 35 წელი არის ის ასაკი, როდესაც ადამიანს განათლების ყველა საფეხური გავლილი აქვს, შესაბამისი ცხოვრებისეული გამოცდილებაც გააჩნია. სხვა ბევრი არგუმენტის მოყვანაც შეიძლება.

***– პრეზიდენტი უპარტიო უნდა იყოს?***

– ეს არ არის რიგითი საკითხი. ამ საკითხზე ჩემი პოზიცია ცნობილია: საარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტობის კანდიდატი პარტიის წარმომადგენელი არ უნდა იყოს ან არჩევნებამდე ერთი წლით ადრე უნდა დატოვოს პარტია, მით უფრო, რომ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ის აღარ უნდა იყოს პარტიის წევრი. მაშინ მხოლოდ იმაზე შევჯერდით, რომ პარტიაში თანამდებობა არ უნდა ეკავოს და ასეც ჩაიწერა.

***– პოლიტიკურად ნეიტრალური პირი უნდა იყოს?***

– დიახ, პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყოს.

***– არასამთავრობო სექტორი აცხადებს, რომ თუ ისე განვითარდება მოვლენები კომისიაში, რომ ყველა ცვლილება სახელისუფლებო გუნდიდან წამოვა და არცერთი მათი შეთავაზება არ იქნება გაზიარებული, მაშინ***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კალაძე ხელისუფლებას აშანტაჟებს?

## „თვითმმართველობის არჩევნებმა, შესაძლოა, „ოცნება“ დაშალოს“

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობაში საკადრო ცვლილებებს ერი დიდი ხანია ელის. გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობაში სერიოზული დაპირისპირებაა, რაც, ერთი მხრივ, მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდება, მეორე მხრივ კი – პრემიერის შესაძლო ცვლილებას.

მედიასა და სახელისუფლებო კულუარებში უკვე დასახელდა რამდენიმე გვარი, რომლებმაც, შესაძლოა, კვირიკაშვილი შეცვალოს. გავრცელებული ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე პრეტენზია კახა კალაძესაც გაუჩნდა. ამის გარდა, მთავარი ენერგეტიკოსი საარჩევნო სიაში საკუთარ კვოტას ითხოვს.

მასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს ცოტნე გამსახურდია.

– კულუარული ხმები როგორც უბნობენ, კალაძეს, როგორც მინიმუმი – ადგილობრივ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურების გაყვანის კვოტები და საკუთარი პოზიციების გაძლიერება პირველ ვიცეპრემიერად დანიშვნით უნდაო, ხოლო მაქსიმუმი – პრემიერის პოსტსაც უმიზნებსო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციაში გადასვლით იმუქრებაო, – წერს გამსახურდია სოციალურ ქსელში.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კალაძე ოპოზიციაში გადასვლით იმუქრება. ასეთი რამე საპარლამენტო არჩევნების წინაც მოხდა. „ახალი თაობა“ მაშინ წერდა, რომ კალაძე ერთ-ერთი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს შეხვდა და მას პარტიის გაკეთება შესთავაზა. ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ ჩაიშალა, რომ პარტიამ კალაძის ამბიციები დააკმაყოფილა.





კალაძის სამომავლო გეგმებზე კულუარულ ინფორმაციებს ფლობს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ კალაძეს დაწინაურება უნდა, მაგრამ ოპოზიციაში არავითარ შემთხვევაში არ წავა.

**ლადო სადღობელაშვილი:**

– კალაძეს რომ პრეტენზიები აქვს, ეს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ვიცი. რაც შეეხება მის ოპოზიციაში გადასვლას, ეს გამორიცხულია. გარდა იმისა, რომ მას ოპოზიციონერობის თავი არა აქვს, ამის გაკეთების უფლებას მის უკან მდგომი ხალხი არ მისცემს.

***– ვის გულისხმობთ მის უკან მდგომ ხალხში?***

– იმ ხალხს, ვინც მის უკან დგას. საუბარია როგორც ჟვანიას გუნდის წევრებზე, ასევე ბიზნესმენ იაკობაშვილის ხალხზე. დღეს კალაძე, ფაქტობრივად, იაკობაშვილის ფულებს პატრონობს. მას სხვებთანაც აქვს ვალდებულებები, ამ ვალდებულებების ტყვეობაშია და ოპოზიციაში ვერ წავა.

***– მის საპრემიერო ამბიციებზე რას იტყვით?***

– მისი გაპრემიერება უფრო რეალურია, ვიდრე ოპოზიციაში გადასვლა. თუ ის მიზნის მისაღწევად ულტიმატუმის ენაზე საუბრობს, არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. როდესაც კარიერულ წინსვლაში ხელს გიშლიან, გიჩნდება პროტესტის გრძნობა და ცდილობ, შენი ძალით გაიტანო.

***– კალაძეს საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია და რაში სჭირდება ეს ულტიმატუმი?***

– მაღალი თანამდებობა კი უკავია, მაგრამ უფრო მაღალი ეკავა. ღარიბაშვილის დროს მას პირველი ვიცეპრემიერის პოსტი ეკავა. კვირიკაშვილმა ამ თანამდებობაზე ქუმსიშვილი დანიშნა. ამან კალაძე ძალიან გააბრაზა და მისი მესმის. კაცი პარტიის გენერალური მდივანია და ჩვეულებრივი ვიცეპრემიერია მხოლოდ.

კალაძე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაშოშმინდეს, თუ მას პრეზიდენტის ან თბილისის მერის პოსტზე წარადგენს „ოცნება“.

***– ამბობდნენ, რომ მისი კანდიდატურა დედაქალაქის მერის პოსტზე იქნებოდა წარდგენილი.***

– ამაზე იყო საუბარი, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მამუკა ხაზარაძეზე შეჩერდა. არ არის გამორიცხული, ეს გადაწყვეტილებაც შეიცვალოს. კალაძე მერობის კანდიდატი რომც გახდეს, ის სიებში საკუთარი ხალხის ჩასმას მაინც მოითხოვს. სხვა თუ არაფერი, კაცი პარტიის გენერალური მდივანია.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კალაძე ითხოვს, რომ სიებში 25% მისი ხალხი იყოს. ანალოგიური პრეტენზია აქვს მაჟორიტარებზეც.

***– წავა ხელისუფლება ამ დათმობაზე?***

– გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. ახლა მთავარი ბრძოლა პრემიერის პოსტისთვის მიმდინარეობს. ამ პოსტის დაკავების პრეტენზია რამდენიმე კაცს აქვს. მათ შორის იქნება კალაძეც, თუმცა მისი გაპრემიერების შანსი არ არსებობს. შესაძლოა, აღარც კვოტა დაუკმაყოფილონ. ისიც საკმარისია, პარლამენტი თავისი ფეხბურთელი ძმაკაცებით რომ გაავსო. ახლა „ოცნებაში“ სხვა ვითარებაა.

***– სხვა ვითარებაში რას გულისხმობთ?***

– გუნდში სერიოზული დაპირისპირებაა. ამის ნათელი გამოვლინება იყო ბათუმის მოვლენები. მერაბ ღოღობერიძე, რომელიც ხალხს აბუნტებდა, ირაკლი ჭეიშვილს ექვემდებარება, ჭეიშვილი კი კალაძის კადრად ითვლება. ალბათ, ამიტომაც არ წაიყოლა კვირიკაშვილმა კალაძე ბათუმში. ვფიქრობ, კარგად მოიქცა.

***– კარგად რატომ მოიქცა?***

– იმიტომ, რომ კალაძეს ის სულელური განცხადება, შესაძლოა, იმ მომენტში გაეკეთებინა, რითიც კიდევ უფრო დაძაბავდა ვითარებას. ძალიან მიკვირს ივანიშვილის, რატომ დასვა ეს ბიჭი მინისტრად. კაცმა ის არ იცის, რა არის ეთნოსი.

***– მის განცხადებას ეთნიკურ კონფლიქტზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თავად ამბობს რომ შეცდომა არ დაუშვია და ოპონენტებს დაგუგვლისკენ მოუწოდა.***

– რა გუგლი და რა ვიკიპედია, წიგნი აიღოს და რაღაც წაიკითხოს. გუგლის იმედზე რომ არის, ამიტომაც გვესმის მისგან მარგალიტები. ის მხოლოდ იმიტომ გახდა მინისტრი, რომ ბერას მოანათვლინა შვილი.

ის პრემიერი ვერ გახდება, მაგრამ ვერც კვირიკაშვილი დარჩება ამ პოსტზე. არ შეიძლება, ქვეყნის მთავრობის მეთაური ასეთი ტიპი იყოს. წინ კიდევ ბევრი სკანდალი გველის. თვითმმართველობის არჩევნებმა, შესაძლოა, „ოცნება“ დაშალოს.



# „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგ

მმართველი პარტიის განცხადებით, პრეზიდენტის არაპირდაპირი წესი არჩევა აბსოლუტურ თანხვედრაშია ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის პრინციპთან.

საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე პრეზიდენტის უფლებების შეკვეცა და არჩევის წესის შეცვლა კვლავ აქტიურად განიხილება.

ოპოზიცია მმართველ პარტიას პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებაში ადანაშაულებს. პარლამენტის ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი სამიზნე სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტია.

– დღეს ხდება თავდასხმა იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ბიძინა ივანიშვილის არაფორმალურ დიქტატსა და მის მმართველობას. საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი სამიზნე სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტია.

კონსტიტუციის შემოთავაზებული პროექტით, ფაქტობრივად, ხდება პრეზიდენტის უფლებამოსილებების მთლიანად შეკვეცა. ხდება ქართველი ხალხისთვის უფლების წართმევა, აირჩიოს პრეზიდენტი. ეს ნიშნავს ქვეყანაში დემოკრატიის კიდევ უფრო შეზღუდვას, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.



ფრაქცია მოძრაობა „ევროპული საქართველოს წევრი“ ირაკლი აბესაძე თვლის, რომ ქვეყანაში მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტი არსებობა აუცილებელია, რათა საქართველომ დემოკრატიული განვითარება შეძლოს.

– საპარლამენტო უმრავლესობა და ქვეყნის მთავრობა ერთი ადამიანის ნება-სურვილების შემსრულებელია, სადაც პარლამენტი ვერ ახერხებს მთავრობის საქმიანობის კონტროლს და მას, ფაქტობრივად, ჩამორთმეული აქვს უფლება, დააყენოს არაეფექტური მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი.

ამ პირობებში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მაღალი პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრეზიდენტის არსებობა, რომელიც შესაძლებელია იყოს ერთი გარანტი ქვეყნის სწორი განვითარებისა და სწორი მიმართულებით წაყვანისა. სწორედ ეს არის ის, რაც ხელს უშლის „ქართულ ოცნებას“, ხელისუფლების სრულად მონოპოლიზაცია მოახდინოს, – თქვა აბესაძემ.

ლეიბორისტულ პარტიაში ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა აირჩიონ.

– პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხის მიერ არჩეული და უნდა იყოს ძლიერი ფიგურა, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილებები ექნება, არ იქნება მხოლოდ მედიატორი და იქნება ფუნქციური პოლიტიკოსი, რომელიც იზრუნებს იმ უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც დღეს ქვეყანას აწუხებს. ქვეყანა არაფორმალური მმართველის ქვეშ არ უნდა იყოს, – განაცხადა გიორგი გუგავამ.

საკითხზე კომენტარი გააკეთა მმართველი პარტიის წარმომადგენელმა. კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება 2018 წელს პრეზინდეტის არჩევნების პირდაპირი წესით ჩატარების შესახებ უკვე მიღებულია.

– გარკვეული სპეკულაციების თავიდან ასარიდებლად კარგი იქნებოდა, 2018-ში ჩატარებულიყო პირდაპირ და შემდეგ გარდამავალ დებულებებში ჩაგვედო, რომ ჩატარებულიყო არაპირდაპირი წესით არჩევნები.

ვფიქრობთ, რომ ეს აბსოლუტურ თანხვედრაშია ქვეყნის საპარლამენტო მოწყობის პრინციპებთან, – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

**ნიუპოსტი**

# აბაშიშვილი: „ქართველმა ხალხმა პრეზიდენტი უნდა აირჩიოს პირდაპირი წესით 2018 წელს და შემდგომ წლებშიც“



პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი პრეზიდენტის არჩევის წესზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა პრეზიდენტი ყოველთვის პირდაპირი წესით უნდა აირჩიოს.

– კონსტიტუციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ჩვენი კამპანიის ფარგლებში „კონსტიტუცია ყველასია“ ჩვენს აზრს ვეკითხებით მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობას – იქნება ეს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მთლიანობაში საარჩევნო სისტემა თუ ქვეყნის მოწყობა. ამაზე ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის აზრი, რომელსაც ჩვენ ვარკვევთ სწორედ იმ ჩართულობით, რომელსაც ჰქვია კამპანია „კონსტიტუცია ყველასია“.

რაც შეეხება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველმა ხალხმა ამასთან დაკავშირებით არჩევანი გააკეთა. ქართველ ხალხს არ უნდა წაერთვას პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლება. ქართველმა ხალხმა პრეზიდენტი უნდა აირჩიოს პირდაპირი წესით 2018 წელს, შემდგომ წლებშიც, მათ შორის 2023 წელს და შემდგომაც, როდესაც იქნება პრეზიდენტის არჩევნები, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

**ნიუპოსტი**

# შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.შ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე დააკავეს.

– სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს: 0,47122 გრამი ბუპრენორფინის შემცველი 57 აბი, 0,276942 გრამი მეტადონის შემცველი 7 აბი და 56,3 გრამი ფხვიერი მასა, რომელიც 6,619844 გრამ ჰეროინს შეიცავს, – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ცნობით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დიდი ოდენობით და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თეონა ჭალიძე: „უფასო სასადილოებით სარგებლობას კიდევ რამდენიმე ათასი ადამიანი ითხოვს“

## ლევან ხაბეიშვილი: „გამგეობები „ოცნების“ მხარდამჭერთა დასასაქმებელ ადგილად გადაიქცა“

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ვითარება უმწეოთა სასადილოების რაოდენობაზეც აისახება. ასეთი სასადილოებით თბილისში 40.000-მდე ადამიანი სარგებლობს, რამდენიმე ათასი კი რიგში დგას და ელოდება, როდის ისარგებლებს ამ სერვისით. იმ დროს, როცა ათასობით უმწეო უფასო სადილზე ოცნებობს, გამგეობებსა და სხვა სამსახურებში მილიონობით პრემიები რიგდება.

პოლიტიკურმა პლატფორმა „ახალმა საქართველომ“ რამდენიმე კვლევა ჩაატარა, საიდანაც ნათლად ჩანს, რაში იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტი და რატომ ვერ იღებენ უმწეოები უფასო სადილს.



### მიუწვდომელი სასადილოები

დღეის მონაცემებით, თბილისში 63 უფასო სასადილოა, სადაც სოციალურად დაუცველი მოქალაქეები იკვებებიან. ამ სერვისით 39.251 ბენეფიციარი სარგებლობს.

„ახალი საქართველოს“ სათათბიროს წევრ თეონა ჭალიძის თქმით, ამ სერვისით სარგებლობა კიდევ რამდენიმე ათას ადამიანს სურს.

– ამის გარდა, ე.წ. დამატებით სიაში იმყოფება 2.308 ბენეფიციარი. დამატებით სიაში მყოფი ადამიანები მაშინ მიიღებენ სადილს, თუ ძირითად სიაში მყოფები არ გამოცხადდებიან საკვების წასაღებად, – აღნიშნავს ჭალიძე.

მისივე ინფორმაციით, 2016 წლიდან 7030 მოქალაქე იმყოფება მოლოდინის რეჟიმში. ამ ადამიანებმა ჯერ კიდევ გასულ წელს დაწერეს განცხადება იმის შესახებ, რომ სურთ, უფასო სასადილოების სერვისით ისარგებლონ.

– 7030 ადამიანის დაკმაყოფილება დღემდე ვერ მოხერხდა, რაც ძალიან სამწუხარო რეალობაა. მიდგომებიც არასწორი აქვს ხელისუფლებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფასო სასადილოები ყველა სოციალურად დაუცველისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს იმის გასარკვევად, თუ რომელ სოციალურად დაუცველს ეკუთვნის ეს მომსახურება და რომელს – არა. ეს საკითხი წყდება რიგითობის მიხედვით. გამოდის, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც პირველებმა დაწერეს განცხადება, მიეცათ ამ პროგრამით სარგებლობის საშუალება, ხოლო ვისაც განცხადების დაწერა დააგვიანდა, ისე დარჩა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ სათათბიროს წევრი.

თეონა ჭალიძის განმარტებით, იმისათვის, რომ განცხადებების გვიან დამწერები ძირითად სიაში მოხვდნენ, რამდენიმე გზა არსებობს.

– ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ვიღაც საკუთარი სურვილით დაწერს განცხადებას და იტყვის, აღარ მინდა უფასო სადილიო, რაც ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მომლოდინე სიაში მყოფებს ძირითად სიაში მოხვედრა კიდევ ერთ შემთხვევაში მიუწევთ, როცა ძირითად სიაში მყოფი პიროვნება გარდაიცვლება. ჩემზე ძალიან იმოქმედა მომლოდინე რეჟიმში მყოფი პიროვნების ნათქვამმა. მან თქვა, ნუთუ იმ სიიდან არავინ კვდება, რომ ძირითადში მოვხვდეო, – აღნიშნავს ჭალიძე.

მისივე განმარტებით, მომლოდინე სიიდან ძირითადში მოხვედრაც რიგითობის მიხედვით მოხვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გაუმართლებს იმას, ვინც სხვაზე ადრე დაწერა განცხადება.

არსებულ ვითარებაში „ახალ საქართველოს“ საუკეთესო გამოსავლად მათი ინიციატივა მიაჩნია. თეონა ჭალიძის თქმით, ყველა მსურველი უნდა დაკმაყოფილდეს. მისივე განმარტებით, ბიუჯეტს ამის საშუალება გააჩნია.

– საჯაროდ გაკეთდა განცხადება, რომ თითოეულ მოქალაქეზე დღეში 1.18 ლარი იხარჯება. მომლოდინე რეჟიმში მყოფი პირების გამოკვება ბიუჯეტს დღეში 8.295 ლარი დაუჯდება. მთელი წლის განმავლობაში ეს თანხა 3.027.821 ლარია. ამ თანხის მოძიება თბილისის მერიასა და გამგეობებს არ უნდა გაუჭირდეთ, – აცხადებს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

თეონა ჭალიძეს ეჭვი აქვს, რომ უმწეოთა სასადილოებით სარგებლობის სურვილი კიდევ ბევრ ადამიანს აქვს. ამის თქმის საბაბს მას სტატისტიკური მონაცემები აძლევს.

– დიდუბის რაიონს მოლოდინის რეჟიმში არცერთი ადამიანი არ ჰყავს. მთაწმინდის რაიონის გამგეობაში მხოლოდ 24 ადამიანი ელოდება თავის რიგს, საბურთალოს გამგეობაში – 16, ისანში – 889, ვაკეში – 23, ნაძალადევში – 2.514, სამგორში – 613, კრწანისში – 48, ჩუღურეთში – 603, გლდანში – 2.300 მოქალაქე.

მე მიჩნდება ეჭვი და ვარაუდი იმისა, რომ ზოგიერთ გამგეობაში მოქალაქეებს განცხადებების მიღებაზეც კი უარს ეუბნებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი დიდი განსხვავება არ იქნებოდა ციფრებში. მოსახლეობას თითქმის ყველგან უჭირს, – მიიჩნევს თეონა ჭალიძე.

### მექვაბე, მეგარდერობე და 3 ელექტრიკოსი

იმ დროს, როცა ათეულობით ათასი მოქალაქე უმწეოთა სადილით სარგებლობაზე ოცნებობს, ხელისუფლება საჯარო სამსახურებში შტატების გაბერვით არის დაკავებული. ერი დიდი სიხარულით შეხვდა იმ ამბავს, რომ თბილისის მერიაში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ლონდონში. ლონდონამდე, მართალია, ბევრი უკლიათ, მაგრამ დასაქმებულთა რაოდენობით არც რაიონების გამგეობები გამოირჩევიან.

„ახალმა საქართველომ“ გადაწყვიტა, რეგიონებშიც შეესწავლა ვითარება. გამგეობებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციებით ისინი გაოგნებული დარჩნენ.

– როცა ამ ინფორმაციას გავეცანი, ძალიან შემეცოდა ჩვენი ბიუჯეტი – თურმე რას უძლებს. ჩვენს კვლევაში ძალიან სასაცილო თანამდებობებს წააწყდებით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხალხს ბიუჯეტი უხდის ხელფასს, სასაცილოდ ნამდვილად აღარ გვექნება საქმე, – ამბობს „ახალ თაობასთან“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი.

მან ჩვენთან გურჯაანის, აბაშისა და ოზურგეთის გამგეობიდან მიღებულ ინფორმაციებზე ისაუბრა. როგორც თავად ამბობს, ყველაზე ორიგინალურები ოზურგეთელები აღმოჩნდნენ, აბაშამ კი კეთილმოწყობის ფრონტზე ლონდონის მერიის დამჩრდილავი თბილისის მერია დაჩრდილა.

– ამ ინფორმაციებს რომ ვეცნობი, მრჩება შთაბეჭდილება, რომ გამგეობები საბჭოთა კავშირის დროს დაწერილი საშტატო ნუსხებით სარგებლობენ. როგორც ჩანს, ამ ადამიანებისთვის ჯერ 21-ე საუკუნე არ დამდგარა, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, გურჯაანის გამგეობაში არის 17 აიპი, სადაც 930 ადამიანი მუშაობს, თავად გამგეობაში კი 172 კაცია დასაქმებული. გამგეობის თანამშრომლებმა გასულ წელს პრემიის სახით 223.180 ლარი აიღეს. აიპების თანამშრომლებზე გაცემულ პრემიებს გურჯაანი არ ასაჯაროებს.

პრემიების თვალსაზრისით, ხაბეიშვილის თქმით, ოზურგეთის გამგეობაა ჩემპიონი. აქ გასულ წელს გამგეობის თანამშრომლებზე 1.959.056 ლარის პრემია გაიცა. ოზურგეთის გამგეობაში სულ რაღაც 150 ადამიანია დასაქმებული.

– ოზურგეთში არის 10 აიპი, რომლის შიგნითაც ნამდვილი კატასტროფა ხდება. ერთ-ერთს ჰყავს 42 მუშა. ვერაფრით გავარკვიეთ, რას ნიშნავს თანამდებობა მუშა. მუშებს თავი დავანებოთ, გამგეობას ჰყავს 18 მძღოლი. როგორც ამბობენ, ამ 18 მძღოლიდან 5 ტრაქტორზე ზის. 13 მძღოლი რას აკეთებს, ვერ დაგვიკონკრეტეს.

არის კიდევ ასეთი აიპი, სადაც ჰყავთ მეგარდერობე და მექვაბე. გამწარებული ვგუგლავ და ვერ გავიგე, რა თანამდებობაა მექვაბეობა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს მექვაბე და მეგარდერობე რაღაც ანსამბლთან არიან კავშირში, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, ამ ანსამბლის გარშემო ძალიან საინტერესო საკადრო ამბები ტრიალებს.

– წერია, რომ ამ ანსამბლში სულ 10 ადამიანი ცეკვავს და მღერის. მათ ზედამხედველობას 26 ადამიანი უწევს. ზოგი დირექტორია, ზოგი – მოადგილე. ბუღალტერიც ჰყავთ და შესყიდვების ბუღალტერიც, ასევე ჰყავთ საქმეთა მმართველიც. – ამბობს ხაბეიშვილი.

10-კაციანი ანსამბლის 26-კაციანი კონტროლით გაკვირვება გამგეობის 3-მა ელექტრიკოსმა გაუქრო.

–– ოზურგეთის გამგეობაში შტატში ჰყავთ 3 ელექტრიკოსი. ვერაფრით გავიგე, რა საჭიროა ელექტრიკოსი? რატომ უნდა იხადონ მათ მთელი წლის განმავლობაში ხელფასი? რამე თუ გაუფუჭდებათ, შეუძლიათ, ხელოსანი გამოიძახონ. ერთი წერტილის გაკეთება 5 ლარი ღირს, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.



მისი გაოგნება გურჯაანის გამგეობამაც მოახერხა. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ გამგეობას 9 მძღოლი ემსახურება.

– გურჯაანის გამგეობას ჰყავს 9 მძღოლი. ერთი გრეიდერზე ზისო, გვითხრეს. როცა ვკითხეთ, სულ გრეიდერზე როგორ ზისო, განმარტეს, ზამთარში ეს მძღოლი ყინულის დნობაზე გადის, ზაფხულში კი ხრეშს ყრისო. ამის გარდა, გვითხრეს, რომ გამგეობას ჰყავს 2 სამარშრუტო ტაქსი, რომელსაც 2 მძღოლი ემსახურება. დაგვიზუსტეს, რომ ეს 2 მძღოლი წვევამდელებს ემსახურება. რა წვევამდელები გადაჰყავთ, გაწვევა წელიწადში სულ ორჯერ ხდება, – ამბობს ხაბეიშვილი.

ზუგდიდის რაიონისგან განსხვავებით, აბაშაში გულშემატკივართან მეკავშირე ოფიცრის შტატი ჯერ არ შემოუღიათ, მაგრამ აქაც საინტერესო ამბები ხდება.

ხაბეიშვილი ყველაზე მეტად აბაშის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთა სიმრავლემ გააკვირვა:

– დედას გეფიცებით, არ ვხუმრობ. აბაშის კეთილმოწყობის სამსახურში 120 თანამშრომელია. ამდენი თბილისშიც კი არ არის. აბაშაში ტერიტორიაც კი არ არის იმხელა, რომ კეთილმოწყობის სამსახურში ამდენი ადამიანი იყოს დასაქმებული. გამოდის, თითო ორმოს თითო პატრონი ჰყავს.

„ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის თქმით, სხვა რაიონებშიც იგივე ვითარებაა.

– ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ გამგეობები და მერიები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა დასასაქმებელ ადგილად გადაიქცა. ნაციონალების დროს აქ ნაციონალების მომხრეები და ნათესავები საქმდებოდნენ, ახლა „ოცნების“ მომხრეთა ჯერია. რატომ უნდა ვინახოთ ეს ბიუჯეტის წურბელები, არ მესმის. ამ შტატებს რომ ვუყურებ, ერთი სურვილი მიჩნდება – მეგარდერობე მაინც გამოვსულიყავი, ყოველთვე 600 ლარს ავიღებდი, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილი.

ის მომავალში სხვა გამგეობების საშტატო მიღწევების გასაჯაროებასაც აპირებს და გვპირდება, რომ სახალისო ამბები არ მოგვაკლდება.

# ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრეზიდენტი პარტიის წევრი არ უნდა იყოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***ისინი კომისიას დატოვებენ. პარლამენტზე რა დოკუმენტი შეიძლება გავიდეს, კონსენსუსის შედეგად შემუშავებული თუ უმრავლესობის წევრების სურვილზე მორგებული?***

– ის, რაზეც ხდება მსჯელობა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, არის ვახტანგ ხმალაძის, ირაკლი კობახიძისა და საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეთა კონცეფცია. 2009-2010 წელს ირაკლი კობახიძემ ბერლინში წარმოადგინა თავისი მოსაზრებები. სწორედ იმ მოსაზრებათა თითქმის 90% განიხილება დღეს კომისიაში.

***– როგორი იყო ეს მოსაზრებები?***

– ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკის იდეა. ის ყოველთვის იყო მმართველობის ამ მოდელის მომხრე. მისი კონცეფციის საფუძვლები პარლამენტარიზმია, თუმცა მსოფლიომ პარლამენტარიზმზე უკვე უარი თქვა. პარლამენტარიზმიდან ქვეყნები მინისტერიალიზმზე გადადიან. ცენტრალური ორგანო დიდი ხანია, მთავრობა გახდა. რეალურად ის განსაზღვრავს პოლიტიკას და ახორციელებს კიდეც.

***– რატომ, პარლამენტარიზმმა, საპარლამენტო მოდელმა არ გაამართლა?***

– მთელ მსოფლიოში უფრო აქტიური მმართველობის მოთხოვნა იზრდება. დღეს ლიბერალიზმი კრიზისშია. ტექნოლოგიების განვითარებამ, ინფორმაციულმა რევოლუციამ თავისი კორექტივები მმართველობის სისტემაშიც შემოიტანა.

***– საპარლამენტო მოდელის საწინააღმდეგო არგუმენტად რას დაასახელებდით?***

– რატომ არ ვარ პარლამენტარიზმის მომხრე? ხელისუფლება სამი განშტოებისგან შედგება. სამივე განშტოება დამოუკიდებელია, მაგრამ მათ შორის ყოველთვის უნდა არსებობდეს შეკავება-გაწონასწორების მექანიზმი.

პარლამენტარიზმი ამას უარყოფს. ირაკლი კობახიძეს დიდ პატივს ვცემ, ერთად ვმუშაობდით, სამი სახელმძღვანელო გვაქვს დაწერილი, მაგრამ არ ვეთანხმები ამ კონკრეტულ შემთხვევაში. მე არა მგონია, რომ საქართველოს სინამდვილეს პარლამენტარიზმი მოერგოს. ჩვენთან პარტიული სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობს, რაზეც დგას პარლამენტარიზმი. სხვა ბევრი არგუმენტის მოყვანაც შეიძლება.

# დავით კირვალიძე კვირიკაშვილის მრჩევლად დაინიშნა



დავით კირვალიძე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლად დაინიშნა. შესაბამის განკარგულებას გიორგი კვირიკაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

დავით კირვალიძე ამერიკული ორგანიზაცია CNFA-ის დირექტორთა საბჭოს წევრია. CNFA აშშ-ის მთავრობის საერთაშორისო პროექტებს 20-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. 2006 წლიდან დღემდე CNFA-მ საქართველოში 10-მდე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

დავით კირვალიძე არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, აშშ-საქართველოს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის ინსტიტუტსა და მერილენდის უნივერსიტეტში (აშშ).

დავით კირვალიძე ორჯერ იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ინტერპრესნიუსი

# საქართველოს საზღვრებთან ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგია ძლიერდება

## როგორ ებმებიან რადიკალი ისლამისტების ხაფანგში ბავშვები

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ექსპერტები საქართველოში რელიგიური კონფლიქტის გაღვივების რეალურ საფრთხეზე საუბრობენ. მათი აზრით, ამით დაინტერესებული არიან გარე ძალები. ამ სიტუაციაში საყურადღებოა, რომ მძიმე ვითარება იქმნება საქართველოს საზღვრებთან.

ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფოს რიგებში ისევ იბრძვიან კავკასიელები, ჩრდილოეთ კავკასიაში კი ფარულად მოქმედებს ისლამური სახელმწიფოს ადგილობრივი ვილაიეთი.

ტერორიზმთან ბრძოლის მიუხედავად, ტერორისტული ფორმირება აგრძელებს აქტიურ მუშაობას ახალი პირების გადასაბირებლად.

ხალიფატის პროპაგანდის სამიზნე ყველა ასაკისა და სოციალური ჯგუფის ადამიანია. მის მებრძოლთა რიგებში კავკასიიდან ძირითადად ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მამაკაცები ხვდებიან.

ბოლო დროს ჩეჩნეთში ახალი ტენდენცია გაჩნდა – ისლამური სახელმწიფოს იდეებით დაინტერესდნენ ბავშვები.

მოზარდები და ბავშვები აღმოჩნდნენ დაკავებულთა შორისაც.

2016 წლის დეკემბერსა და მიმდინარე წლის იანვარში გროზნოში განხორციელდა თავდასხმები პოლიციის განყოფილებებზე. მასზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ. თავდასხმებს პოლიციელები შეეწირნენ. ამის გამო ჩეჩნეთის პოლიციამ იმდენი ეჭვმიტანილი დააკავა, რომ მათი განთავსება პოლიციის სარდაფებსა და პოლიციელების კაბინეტებშიც მოუხდა.

მედიის ინფორმაციით, მათ შორის, ვინც დააკავეს, ცოტაა ამ თავდასხმების მონაწილე. არიან სირიაში წასასვლელად გამზადებული პირები, თუმცა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს იდეების მხარდამჭერისთვის აიყვანეს.

მათ ნაწილს ახლა ათავისუფლებენ. გამოშვებული ბავშვები აღრიცხვაზე აჰყავთ.



რატომ ახალგაზრდავდება რელიგიური რადიკალიზმი? როგორ ებმებიან რადიკალი ისლამისტების ხაფანგში ბავშვები?

აღმოჩნდა, რომ ამ საშიში იდეებით გატაცებულ ჩეჩენ ბავშვებში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან.

ექსპერტების აზრით, მოზარდები და ბავშვები სარისკო ჯგუფს მიეკუთვნებიან იმის გამო, რომ ამ ასაკში ხდება მათი პიროვნული ტრანსფორმაცია, რელიგიური იდეოლოგია ხდება მათი პოლიტიკური თვითგამოხატვის ძირითადი ფორმა.

ერთი მხრივ, სახელმწიფო არასრულწლოვნებს თავს ახვევს ისლამის გარკვეულ ფორმებს, რელიგიის გაკვეთილებს, დრეს-კოდს, აკონტროლებს მათ ქცევას საზოგადოებრივ ადგილებში. მეორე მხრივ, ჩნდება რელიგიური ალტერნატივა, რომელიც იზიდავს მოსწავლეებს. ეს ინტერესი არ ნიშნავს, რომ ისინი ტერორისტები არიან.

ისლამური სახელმწიფოთი დაინტერესებას მოზარდებში იწვევს მათი ოჯახების მძიმე სოციალური მდგომარეობა და უფსკრული მოსახლეობის ფენებს შორის. ჩეჩნეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი სიღარიბესა და უუფლებობაში ცხოვრობს. მათზე მოქმედებს ასევე გამოვლილი ომები, რომელთა შესახებ ისინი უფროსებისგან არიან ინფორმირებული.

ზოგიერთი უფლებაშელახული უფროსი ასაკის კავკასიელი იძულებულია, სირიაში გაიხიზნოს. მაგალითად, ერთი მწყემსი ძალოვნებმა უმიზეზოდ დააკავეს და აწამეს. მას აიძულებდნენ, მიეცა ცრუ ჩვენება, თითქოს დანაშაული ჩაიდინა. გათავისუფლების შემდეგ მწყემსი ახლო აღმოსავლეთში გაიქცა, სადაც ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებას შეეკრა.

კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს დავალებებს შუააზიელებიც ასრულებენ. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ადიღეში ცხოვრობდა და ჯიჰადისტების ადგილობრივ ჯგუფს მეთაურობდა, ახლახან დააპატიმრეს. მას ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის მუხლი შეეფარდა. ცენტრალური აზიიდან გამოგზავნილმა ტერორისტმა დანაშაული აღიარა.

# ჯემალ გამახარია: „აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნები უკანონოა“

გულიკო ბალაძე



აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარია** აფასებს.

***– ბატონო ჯემალ, აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. სახალხო კრების – პარლამენტის არჩევნებით რა მოცემულობა მივიღეთ?***

– 12 მარტის ე.წ. არჩევნებში ძალიან საინტერესო შედეგები გამოიკვეთა.

***– ადრე თქვენ მითხარით, რომ შესაძლებელია, ანქვაბი პარლამენტის თავმჯდომარედ მოგვევლინოს, ე.წ. პრეზიდენტი კი ხაჯიმბა იქნება.***

– ახლა რა სურათიც არის გამოკვეთილი, ჯერჯერობით ჩვენი პროგნოზი მართლდება. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა მხოლოდ 12 ოლქში. აქედან 7 არის ანქვაბის, 1 ოლქში არჩევნები გაუქმებულად ჩაითვალა – არ ჩატარებულა და ხელახალი არჩევნები დაინიშნა. ხელახალ არჩევნებში მონაწილეობს ლეონიდე ლაკერბაია, ანუ ბატონი ანქვაბის მარჯვენა ხელი, რომელსაც პირველ ტურში მისმა მთავარმა მოწინააღმდეგემ გამარჯვება მიულოცა ლაკერბაიას, საარჩევნო შტაბში თავისი ფეხით მივიდა და პირადად მიულოცა გამარჯვება. მიუხედავად ამისა, არჩევნები ჩაშლილად ჩაითვალა. ეჭვი არავის ეპარება, რომ ბატონი ლაკერბაია იმარჯვებს. დარჩენილ 22 ოლქში, სადაც მეორე ტური უნდა ჩატარდეს, უმეტესობა ანქვაბის ხალხია თითქოს. თუ რამე არ მოიმოქმედა ხაჯიმბას ხელისუფლებამ, ზუსტად მართლდება ის, რომ ანქვაბი შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარე გახდეს. ორ კვირაში საბოლოო შედეგები გამოიკვეთება, მაგრამ წინასწარი შედეგები ასეთია.

***– ანუ საჭადრაკო დაფაზე ორი ე.წ. მეფე გამოჰყავთ და მუდმივი დაპირისპირების ვითარებას ქმნიან, თუ ანქვაბი და ხაჯიმბა საერთო ენას გამონახავენ?***

– ეს მათზე არ არის დამოკიდებული. რუსეთის მხრიდან ბატონ ანქვაბს ნებართვა რომ არ ჰქონდეს, აფხაზეთში ჩამოსულიყო და კენჭი ეყარა, არ და ვერ ჩამოვიდოდა. ეს არის ცალსახა. რომ არა რუსეთი, ხაჯიმბა პრეზიდენტი ვერ გახდებოდა. მათ შორის რა ურთიერთობა იქნება, დამოკიდებულია მათზე, ვინც ამ ფიგურებს ათამაშებს, მართავს.

***– თუმცა დაძაბულობა მაინც ხომ იქნება, თავისთავად?***

– გარკვეული დაძაბულობა იქნება, მაგრამ დაძაბულობა რა შედეგებს გამოიღებს საბოლოოდ, ხაჯიმბასა და ანქვაბზე დამოკიდებული არ იქნება. აფხაზეთში ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა მომავალში სისტემა შეიცვალოს და ე.წ. საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდნენ, ანუ ჩვენი მოდელი გადაიღონ, რაც ანქვაბს საშუალებას მისცემს, კენჭი იყაროს და პრემიერი, ანუ პირველი პირი გახდეს.

***– ანქვაბს საშუალება ექნება, შეცვალოს ე.წ. კონსტიტუცია?***

– კონსტიტუციის შეცვლას ორი მესამედი სჭირდება. ორი მესამედი ანქვაბს არ ექნება. ამიტომ ის კონსტიტუციას ვერ შეცვლის, მაგრამ მას შეუძლია, თუ უმრავლესობა ეყოლება, ე.წ. რეფერენდუმი დანიშნოს და ამ გზით გაიტანოს საპარლამენტო მმართველობის შემოღების საკითხი. წინ არის პოლიტიკური ბრძოლა. როგორ მწვავე სახეს მიიღებს ეს ბრძოლა, დამოკიდებულია მათ უფროსზე, რომელიც მოსკოვშია. აფხაზეთში ჩატარებულ ე,წ. წოდებულ არჩევნებს აქვს თავისი პოლიტიკური შემადგენელი. ჩვენ სწორედ ეს პოლიტიკური შემადგენელი გვაინტერესებს.

***– რა პოლიტიკურ შემადგენელზე საუბრობთ?***

– ჩატარებული ე.წ. არჩევნები ცალსახად სრულიად უკანონოა (ანუ არჩევნები ამომრჩევლების გარეშე). არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია განსხვავებული აზრი. გარდა იმისა, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი აფხაზეთიდან გადევნილია და ის არჩევნებში ვერ მონაწილეობს, თვით იქ მცხოვრები ათეულათასობით ადამიანი, მათ შორის, უმეტესობა ქართველი, უცხო ქვეყნის მოქალაქედ არის გამოცხადებული.

***– დიახ, გალსა და სხვა რაიონებში მცხოვრები ქართველები.***

– ისინიც მოკლებული არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუნდაც იმ დე ფაქტო არჩევნებში. ამ „უცხო ქვეყნის მოქალაქეების“ რიცხვი ბევრად არ ჩამოუვარდება აფხაზების რიცხვს. ეს ადამიანები თამაშგარე მდგომარეობაში არიან დატოვებული. ასეთ არჩევნებს რუსეთისა და მათ მიერ მოსყიდული, რამდენიმე სუბიექტის გარდა, ლეგიტიმურად არავინ აღიარებს.

კიდევ ერთი შემადგენელი ამ ე.წ. არჩევნებისა არის ის, რომ დე ფაქტო პარლამენტს 35 დეპუტატი ეყოლება. აქედან გარანტირებულად 31 აფხაზი იქნება, 3 გარანტირებულად იქნება სომეხი, ერთი – არ ვიცით, 32-ე დეპუტატი აფხაზი იქნება, თუ შეიძლება, ერთი ქართველი გაერევა, რომელიც ვერაფერს გადაწყვეტს. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ე.წ. არჩევნების უკანონობაზე, ანუ აფხაზობა ენგურს გაღმა მოსახლეობის 30%-ზე ნაკლებია და ე.წ. დეპუტატების 80% ეყოლება. დანარჩენი მოსახლეობა – ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები, ერთად აღებული, სამჯერ მეტია, ვიდრე აფხაზი, მაგრამ მათ, საუკეთესო შემთხვევაში, ოთხი დეპუტატი ეყოლებათ. წარმოიდგინეთ, რა „არჩევნებს“ ატარებენ ენგურს გაღმა და რა „არჩევნებს“ აღიარებს რუსეთი. ეს არის უკანონობის, განუკითხაობის, ადამიანის უფლებების დარღვევის მწვერვალი.

***– ე.ი. რუსეთს საოკუპაციო ხელისუფლებაში დასჭირდა ორი ლიდერის გამოყვანა ასპარეზზე, რომ აფხაზეთში მათი დაპირისპირების ვითარებაში თავისი საქმე აკეთოს – სამხედრო ნაწილი გააძლიეროს, გალი რეალურ სამხედრო ქალაქად აქციოს?***

– დიახ. რუსეთს აფხაზეთში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ლიდერი ეყოლება. ისინი ერთმანეთთან შეჯიბრების რეჟიმში იქნებიან, თავიანთი საქმეებით რუსეთს ვინ უფრო დიდ ერთგულებას დაუმტკიცებს. ამიტომ შექმნა ისეთი ვითარება, როცა მოსახლეობის ორ მესამედს ეყოლება 3-4 დეპუტატი, ერთ მესამედს კი 31 თუ 32 დეპუტატი. ამით რუსეთი ცდილობს, ერთ მესამედ აფხაზობას დაუპირისპიროს დანარჩენი ორი მესამედი, რომ მოხდეს ეთნიკური ნიშნით ანტაგონიზმის გაღვივება და დაპირისპირება. რუსეთს სურს, ანტიაფხაზური განწყობა ჩამოყალიბდეს, რათა შემდეგ შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ მარტივი თამაშებია.

***– ამაზე რუსეთის დელეგაციის (რომელიც ე.წ. არჩევნების პერიოდში აფხაზეთში იმყოფებოდა) ხელმძღვანელმა ზატულინმაც გამოთქვა უკმაყოფილება.***

– დიახ, უკვე ჩაგდებულია ანტაგონიზმის მარცვალი. როცა დასჭირდებათ, უფრო გააღვივებენ და შეიკვრება ანტიაფხაზური ძალა, თუ აფხაზები ჭკუით არ მოიქცევიან. აქ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი – ომის შემდეგ პირველი უკანონო არჩევნები 1996 წლის 23 ნოემბერს ჩატარდა, რომელიც მთელმა მსოფლიომ დაგმო. მას შემდეგ ჩატარებული ყველა ე.წ. არჩევნები მსოფლიომ დაგმო, მაგრამ არაფერი იცვლება. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოვუწოდებთ, არა მხოლოდ სიტყვიერად დაგმონ, არამედ აფხაზეთში დღეს არსებულ ვითარებას ობიექტური შეფასება მიეცეს და, აქედან გამომდინარე, გატარდეს ზომები.

***– რა ზომები?***

– რაც აფხაზეთში მოხდა და ხდება, ქართველი მოსახლეობის გენოციდია. სანამ აფხაზეთში არსებულ ვითარებას გენოციდის კვალიფიკაცია არ მიეცემა, საერთაშორისო ტრიბუნალს არ შექმნის და განსასჯელის სკამზე არ დასვამს გენოციდის ჩამდენთ, მანამდე იქნება საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც 20 წელია, აბუჩად იგდებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ყველა დიდი ქვეყნის, მსოფლიო ლიდერებს. 20 წელია, ცარიელი სიტყვები და განცხადებები გვესმის.

***– უმაღლესი საბჭოს განცხადება წავიკითხე აფხაზეთში 1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლებთან დაკავშირებით. აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა ფილმი გადაიღეს, გუმისთასთან შეტევას ვახორციელებდითო. აფხაზებმა ის შედეგი მიიღეს, რაც უნდოდათ?***

– აფხაზურ მხარეს არასოდეს არანაირი შეტევა არ განუხორციელებია. აფხაზები ყოველთვის მეორე და მესამე რიგში მოდიოდნენ. მთავარი დამრტყმელი ძალა იყო რუსეთის რეგულარული ჯარი, დაქირავებულები, რომელშიც კარგად გაწვრთნილი რუსი ბოევიკები შედიოდნენ. მოდიოდნენ რუსული ტანკებითა და ვერტმფრენებით. იმ შეტევების მოგერიება გვიხდებოდა, რომლებიც იგეგმებოდა რუსეთის გენშტაბში. მოკავშირე არავინ გვყავდა და იმხელა ურჩხულის შემოტევებს ვიგერიებდით. 15-15 მარტს ქართულმა არტილერიამ აფხაზეთში საოცარი გმირობა ჩაიდინა. მან უკუაგდო რუსული არტილერია, რუსული თვითმფრინავები და ტანკები, აფხაზები კი ამას შორიდან აკვირდებოდნენ.

აფხაზებმა კი ვერაფერი მოიგეს. რუსები ან ჩერქეზებივით დაატოვებინებენ შავიზღვისპირეთს, ან მოხდება მათი ასიმილაცია საოკუპაციო რეჟიმის პირობებში.

# დავით რაქვიაშვილი: „რუსეთი ევროპას ემუქრება“

– რუსეთის ქმედებები მხოლოდ საქართველოს დესტაბილიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს გასცდა.

ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მდივანმა, დავით რაქვიაშვილმა საოკუპაციო ხაზთან, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამ-




ხედრო შენაერთების შემადგენლობაში შესვლის თაობაზე კომენტირებისას განაცხადა.

რაქვიაშვილის თქმით, რუსეთის ფედერაციის ქმედებები არალეგიტიმურია და უკვე გასცდა მხოლოდ საქართველოს დესტაბილიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

– ყველა აღნიშნული ქმედება არალეგიტიმურია. რაც შეეხება სამხედრო კომპონენტს, ეს არ არის მიმართული მხოლოდ საქართველოს დესტაბილიზაციაზე. რა თქმა უნდა, რუსეთის მილიტარიზაცია უკვე გასცდა ეროვნული საფრთხის მასშტაბებს და შავი ზღვის რეგიონისკენაა მიმართული.

ეს ყველაფერი, ნებისმიერი მსგავსი ქმედება, რომელიც სამხედრო მიმართულებით ვითარდება, პირდაპირ ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაზეა დამიზნებული, – განაცხადა სოფელ ხურვალეთში ყოფნისას საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვის გადაეცა ქონება 1 ლარად?!







საქართველოში სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა წლებია, მიღებული ტრადიციაა. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის შესაბამისი ბრძანებითა და „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირდებოდა.

აღნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვისა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა და შესაბამის პირობებს ადგენდა საქართველოს პრეზიდენტი, რომლის განკარგულებითაც გაიცემოდა სხვადასხვა სახის ქონება კერძო პირებზე.

ივანიშვილის მთავრობის მოსვლის შემდეგ, პრეზიდენტმა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმის უფლებამოსილება დაკარგა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას, წილებისა და აქციების მართვის უფლებით გადაცემას პირდაპირი გადაცემის ფორმით მთავრობა ახორციელებს.

2007 წლის შემდეგ სახელმწიფოსგან ქონების ერთ ლარად მიმღებთა რიგებში რამდენიმე ცნობილი ადამიანიც გვხვდება. მათ შორის არიან პოლიტიკოსები, სამხედრო პირები, მსახიობი და ყოფილი პირველი ლედიც...

AMBEBI.GE გთავაზობთ ოფიციალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ქონება გადაეცათ ცნობილ ადამიანებს 2007 წლის შემდეგ. ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ მონაცემებსა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევას.

* * *

იუმორისტ ბესო ბერულაშვილს 2016 წლის სექტემბერში თბილისში, კანდელაკის ქუჩაზე მდებარე ბინა გადაეცა 1 ლარად. 140 კვ.მეტრის ფართობის ბინაში ბერულაშვილი რამდენიმე წელი ცხოვრობდა, საკუთრების უფლება კი საჯარო რეესტრში 2016 წლის 8 სექტემბერს დარეგისტრირდა.

აღსანიშნავია, რომ ბესო ბერულაშვილისთვის ბინის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელმოწერები, კულტურის სფეროს ცნობილმა წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს შეაგროვეს.

მიმართვას ხელს ათობით ცნობილი სახე აწერდა, მათ შორის: გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე, რეზო ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, პაატა ბურჭულაძე, ანზორ ერქომაიშვილი, რეზო ჩხეიძე, ელდარ შენგელაია, ნინელი ჭანკვეტაძე და სხვები.

* * *

2016 წელს მთავრობამ ბინა გადასცა საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ შავლეგო ტაბატაძეს. 1 ლარად გადაცემული ქონება ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის №36 ა-ში მდებარეობს და 135 კვ.მეტრი ფართისაა. საცხოვრებელზე საკუთრების უფლება 2016 წლის აგვისტოში დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

პოლკოვნიკ შავლეგო ტაბატაძეს მეუღლე და 4 არასრულწლოვანი შვილი ჰყავს. იგი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 18 წელზე მეტია მსახურობს. სხვადასხვა დროს იყო პირველი ქვეითი ბრიგადის

შტაბის უფროსი, მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაური, მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაური, ბოლო პერიოდში კი გენერალურ შტაბში ჟ-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსის პოზიცია ეკავა.

შავლეგო ტაბატაძე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა, ასევე მონაწილეობდა ერაყისა და ავღანეთის არაერთ სამხედრო ოპერაციაში.

* * *

2014 წელს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გადაეცა ქონება ერთ ლარად, დაბა წყნეთში, სტალინის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 4.580 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ 2014 წლის 2 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს განცხადებით მიმართა და მოითხოვა მის წინაშე არსებული სახელმწიფოს ფინანსური ვალდებულების საკითხის შესწავლა. საქართველოს მთავრობამ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას განცხადება ცნობად მიიღო და მასში მითითებული საკითხის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. რამდენიმე დღეში პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა წყნეთის სამთავრობო აგარაკები გაასხვისოს, მათგან ერთ-ერთი კი, პირველი პრეზიდენტის მეუღლეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გადასცეს საკუთრებაში.

– არცერთ მთავრობის წევრს არ უსარგებლია ამ აგარაკებით. გასხვისება გადავწყვიტეთ. ერთ-ერთი აგარაკი, უბრალოდ, საკუთრებაში გადავეცით მანანა გამსახურდიას, რომელსაც წლების განმავლობაში საკუთრებაში არ გადასცეს ის აგარაკი, რომელიც წესით ეკუთვნოდა, როგორც ყოფილი პრეზიდენტის მეუღლეს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

საცხოვრებელი სახლებისა და სხვა სახის უძრავი ქონების გარდა, მთავრობის განკარგულებით სხვადასხვა პირებს მოძრავი ქონებაც გადაეცემოდათ. მაგალითად, 2012 წელს, გენერალ-მაიორ დევი ჭანკოტაძეს, რომელსაც მაშინ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პოზიცია ეკავა, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა მოძრავი ქონება, ავტომანქანა Jeep Hummer 2.

* * *

2012 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გიგი უგულავას ძმის, ირაკლი უგულავას კომპანია შპს „ჯეოლენდს" პირდაპირი მიყიდვის წესით 1 ლარად გადაეცა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საბერწეში მდებარე 8.000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ირაკლი უგულავა კომპანიის წილის 50%-ის მფლობელი გახლდათ.

მიწის გადაცემის საინვესტიციო პირობაში მითითებული იყო, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ წელიწადში შპს „ჯეოლენდს" აღნიშნულ ტერიტორიაზე სამთო ქოხის მშენებლობა და საკემპინგე ტერიტორიის მოწყობა ევალებოდა.

* * *

# ლევან კალანდაძე: „გადასახადების შემცირებაში ცუდი არაფერია"



– ექსპერტ ლევან კალანდაძის განცხადებით, გადასახადების შემცირებაში ცუდი არაფერია, თუმცა ეს პირდაპირ იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას.

ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას ლევან კალანდაძე „ევროპული საქართველოს" მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას.

როგორც ლევან კალანდაძემ აღნიშნა, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ყოველთვის უნდა იყოს ქვეყნის პრიორიტეტი, ეკონომიკური აქცენტები და ეკონომიკური პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესზე უნდა იყოს მიმართული.

– მცირე და საშუალო ბიზნესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი, რომლის გაძლიერება, წახალისება, მისი განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისთვის და ასევე ეს არის საშუალება იმისთვის, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიების სისტემა შეიქმნას, – განაცხადა კალანდაძემ.

მისივე თქმით, თავისთავად გადასახადების შემცირებაში ცუდი არაფერია. გადასახადების შემცირება ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტივობას, ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, „მაგრამ სახელმწიფოებრივად აზროვნება და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება მხოლოდ ერთი რომელიმე კომპონენტის გაძლიერებას არ ნიშნავს".

– როცა გადასახადების შემცირებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ეს არა მხოლოდ ბიზნესის ჭრილში, არამედ ე.წ. საჯარო ფინანსების, ანუ სახელმწიფო ფინანსების ერთიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

გადასახადების შემცირება პირდაპირ იწვევს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას. საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება სამომავლოდ დაკავშირებული იქნება ძალიან ბევრ რისკთან, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის თავად სახელმწიფოს.

მოკლევადიან პერიოდში გადასახადების შემცირებით ჩვენ მნიშვნელოვნად შეიძლება შეგვიმცირდეს ის პროექტები, რომლებიც სახელმწიფო პროექტების სახით ბიუჯეტიდან ხორციელდება.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ გადასახადების შემცირებაზე, ეს ასე ცალკე ჩაკეტილ სისტემაში ამოგდებულად არასდროს არ უნდა განვიხილოთ, უნდა ვისაუბროთ, თუ რა გავლენები ექნება ამას ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილზე, – განაცხადა კალანდაძემ.

კალანდაძის თქმით, ეკონომიკური სახელმწიფოებრივი ხედვა არ ნიშნავს მარტო გადასახადების შემცირებას, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ყველაზე სწორი მიდგომა გადასახადების ოპტიმიზაციაა და და არა მხოლოდ შემცირება.

– ვისურვებდი, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს კონსულტაციები ამ ჯგუფთან კონკრეტულად ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით. თავად ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოზე ორიენტირებული პოლიტიკის, გრძელვადიან პერსპექტივაში მოქნილი საგადასახადო რეჟიმის ჩამოყალიბება და, თუ მმართველი პოლიტიკური ძალა და ოპოზიცია რაღაც შეხების წერტილებს იპოვიან ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, კარგი იქნება, – განაცხადა კალანდაძემ.

# დავით სერგეენკო: „მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსება უკლებლივ ყველა ჯგუფს შეუნარჩუნდება"

– მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსება უკლებლივ ყველა ჯგუფს შეუნარჩუნდება – მდიდარია, საშუალო შემოსავლის თუ ღარიბი.

ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ 16 მარტს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც საყოველთაო ჯანდაცვაში მოსალოდნელი ცვლილებები განმარტა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება.

პირველი – მიზნობრივი ჯგუფებია, რომელშიც შედიან 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები, სტუდენტები, პენსიონერები, შშმ პირები, პედაგოგები, სოციალურად დაუცველები.

მეორე კატეგორიაა მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 40.000 ლარზე მეტია. ასეთი საქართველოში 32.000 ადამიანია. შემდეგია საშუალო შემოსავლის მქონე

მოქალაქეები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 900 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი 40.000 ლარს არ აღემატება, მათი რაოდენობა 300.000-ია.

მეოთხე კატეგორიაა მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70.000-დან 100.000-მდეა. მათი რაოდენობა 102.000-ია.

მეხუთე კატეგორიაა 6-18 წლამდე ასაკის პირები, სულ 503.000 ადამიანი.

მეექვსე კატეგორიაა დაბალი და არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეები. ყოველთვიურად 900 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები და თვითდასაქმებულები.

– სახელმწიფო გააგრძელებს ზრუნვას მშობიარობის დაფინანსებაზე, მიუხედავად იმისა, რომელიმე ჯგუფის მოქალაქე დარჩება თუ გადავა კერძო დაზღვევაში. ასევე მეორე ძალიან სპეციფიკური საკითხია ონკოლოგია. პირობითად მდიდრების ჯგუფში, თუკი ისინი კერძო პაკეტს აიღებენ, მათ რჩებათ სახელმწიფო პროგრამები და მშობიარობის დაფინანსება, მაგრამ არა ონკოლოგიის. საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეები თუკი აირჩევენ გადასვლას, სახელმწიფო საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებში ნებისმიერ შემთხვევაში გააგრძელებს ზრუნვას, თუკი მათ ონკოლოგიის გამო დასჭირდათ ქიმიოთერაპია და დაბალი შემოსავლის მქონეებში გააგრძელებს ზრუნვას როგორც ქიმიოთერაპიაზე, ასევე ჰორმონოთერაპიასა და სხივურ თერაპიაზე, – განმარტა დავით სერგეენკომ.

* * *

მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40.000 ლარზე მეტია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო სერვისებს ვეღარ მიიღებენ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებისთვის დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდება. ცვლილებების შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგი გამართა.

მოქალაქეების რაოდენობა, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40.000 ლარზე მეტია, 32.000-ს შეადგენს. ცვლილებების შედეგად ისინი ვეღარ მიიღებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო სერვისებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი რჩებიან ჯანდაცვის სახელმწიფო სხვა პროგრამების მოსარგებლეებად.

# „ევროპული საქართველო" ბენზინზე, დიზელსა და გაზზე აქციზის განახევრებას ითხოვს

პარტია „ევროპული საქართველო" მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამით გამოდის. როგორც „მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველოს" წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა 16 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქართული ოცნების" 5-წლიანი მმართველობის შედეგები მძიმედ აისახა საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

მისივე თქმით, სახეზეა ეკონომიკური სტაგნაცია, ფასების ზრდა და ცხოვრების გაძვირება.

– მოქალაქეთა უმრავლესობას აწუხებს უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები, გაზრდილი ხარჯი.

მთავრობის მიერ გადასახადების გაზრდა ასიათასობით ოჯახმა იგრძნო საკუთარ შემოსავლებზე. ამან კიდევ უფრო დაამძიმა მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნის, მოქალაქეთა შემოსავლების მატების ძირითადი წყარო უნდა იყოს.

„ევროპული საქართველოს" მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა 2 ძირითად პრინციპს – გადასახადების შემცირებასა და სამთავრობო ხარჯების შეკვეცას ეყრდნობა, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

„ევროპული საქართველოს" პროგრამის 7 პუნქტი გულისხმობს: ბენზინზე, დიზელსა და გაზზე აქციზი განახევრდეს; დღიურად 550 ლარამდე საშუალო ბრუნვის მქონე ბიზნესი არ დაიბეგროს, ასეთმა ბიზნესმა არ გადაიხადოს დღგ; უძრავი ქონების გასხვისების გადასახადი გაუქმდეს; საშემოსავლო გადასახადმა დაიწიოს 2018 წლიდან – 15%-მდე, 2019 წლიდან – 12.5%-მდე, 2020 წლიდან – 10%-მდე; განაწილებული მოგების გადასახადი შემცირდეს 10%-მდე; იმპორტის გადასახადი გაუქმდეს; საპროცენტო სარგებელზე გადასახადი გაუქმდეს.

„ევროპული საქართველოს" მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება შეღავათს მისცემს ათასობით მაღაზიას, კვების ობიექტს, საშენი მასალების მცირე საამქროს, საცხობს, სილამაზის სალონის, მანქანის სახელოსნოს, სახერხსა და სხვა წვრილ საწარმოს, აგრეთვე, გარე მოვაჭრეებს და, ჯამში, შედეგად მოგვცემს: ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას; სამუშაო ადგილების შექმნას; კეთილდღეობის ზრდას, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

# ზოგიერთ არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზე საწვავი გაიაფდა



არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავი 1-დან 5 თეთრამდე გაიაფდა.

მას შემდეგ, რაც მთავრობამ საწვავზე აქციზი გაზარდა, ეს ბენზინზე ფასის კლების პირველი შემთხვევაა.

ზოგიერთ არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზე დიზელის ფასი 2-5 თეთრით შემცირდა. ამ დროისთვის დიზელის ფასი 1,77 ლარიდან 1,82 ლარამდე მერყეობს. 2-4 თეთრით შემცირდა ევრო დიზელის ფასი და მისი ღირებულება 1,89 ლარის ნაცვლად 1,85 ლარსა და 1,87 ლარს შორისაა. 3 თეთრით გაიაფდა რეგულარი, რომლის ფასმაც 1,95 ლარიდან 1,92 ლარამდე დაიწია, 2 თეთრით გაიაფდა პრემიუმი და მისმა ფასმა 2,07 ლარის ნაცვლად 2,05 ლარი შეადგინა. ევრო რეგულარის ფასი 1-2 თეთრით შემცირდა და 1,89 ლარიდან 1,97 ლარამდე მერყეობს.

**გვერდი მომზადებულია**
**ბიპიენის მასალების მიხედვით**

# ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი წესით 6 პირი დააკავეს



სამართალდამცავებმა ბათუმში რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კიდევ 6 პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ამჯერად საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ საფუძველზეა აღძრული.

დაკავება განხორციელდა ორი მუხლით. ესენია „სისხლის სამართლის კოდექსის“ 225-ე მუხლი, რაც მასობრივ არეულობას გულისხმობს და 353-ე პრიმა მუხლი, რაც ითვალისწინებს პოლიციელზე თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას.

— გამოძიება გრძელდება. ვაგრძელებთ პირების იდენტიფიცირებას და მტკიცებულებების შეგროვებას, — განაცხადეს შსს-ში.

ბათუმში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რამდენიმე ათეული პირის დაკავება მოხდა, თუმცა მათი უმეტესი ნაწილი ჯარიმის საფუძველზე გათავისუფლდა. ყველა მათგანი ადმინისტრაციული წესით იყო დაკავებული.

**ინტერპრესნიუსი**

# ესპანეთის პოლიცია: „საქართველოს 48 მოქალაქე გასულ თვეში დავაკავეთ“

**ესპანეთის პოლიციის ცნობით, საქართველოს 48 მოქალაქის დაკავება გასულ თვეში, თებერვალში განხორციელდა, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გაასაჯაროეს. ამის შესახებ ესპანეთის ეროვნული პოლიციის პრესსამსახურში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, რომელიც საგამოძიებო უწყებას საქართველოს მოქალაქეების დაკავების საკითხზე დაუკავშირდა.**

ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეების დაკავების შესახებ ინფორმაცია ქვეყნის პოლიციის ოფიციალურ ვებგვერდზე დღეს გავრცელდა. ამის შესახებ წერს ესპანური მედიაც.

— ეროვნული პოლიციის აგენტებმა 48 პირი დააკავეს და 600-მდე საიუველირო ნაკეთობა ამოიღეს ქართული მაფიის წინააღმდეგ ოპერაციის ფარგლებში. გამომძიებლებმა ერთდროულად 15 მისამართზე განახორციელეს რეიდი და შედეგად, გარდა საიუველირო ნაკეთობებისა, ელექტრონული მოწყობილობები, 13.000 ევრო და ბინების გატეხვის ინსტრუმენტები ამოიღეს.

აღნიშნული ოპერაციისა და განხორციელებული დაკავებების შედეგად 40-მდე საქმე გაიხსნა, რომელიც დაკავებულების მიერ მადრიდსა და მურსიაში იყო ჩადენილი.

გამოძიება გასული წლის მარტს დაიწყო. გამოძიების ფარგლებში პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფის ყველა წევრი გამოავლინა, რამაც პოლიციის აგენტებს საშუალება მისცა დაეკავებინათ 48 პირი, რომელთა უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეები არიან, — ნათქვამია



ესპანეთის ეროვნული პოლიციის საიტზე 16 მარტს გაკეთებულ განცხადებაში.

ესპანეთის პოლიცია ასევე აცნობებს მოქალაქეებს, რომ ოპერაციისას ამოღებული საიუველირო ნაკეთობები ეროვნული პოლიციის მადრიდის სამმართველოში იქნება გამოფენილი, სადაც აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის მსხვერპლთ შეეძლებათ, მოვიდნენ და ამოიცნონ თავიანთი საკუთრება.

❖ ❖ ❖

ესპანეთში 48 ქართველის დაკავებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს სადაც აღნიშნულია, რომ ჩატარებული საპოლიციო ღონისძიება საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობით განხორციელდა.

— ესპანელმა სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალ-მარტში ქალაქ მადრიდში, ლეგანესში, ხეტაფესა და ბარსელონაში ჩაატარეს საპოლიციო ღონისძიებები, რა დროსაც ესპანეთში არალეგალური სტატუსით მყოფი, საქართველოს 48 მოქალაქე დააკავეს. დაკავებულები, ძირითადად, ბრალდებული არიან ბინების ქურდობაში.

საპოლიციო ღონისძიებები განხორციელდა საქართველოს შს სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ 2015 წლის 21 იანვრის შეთანხმების საფუძველზე. ქართველ და ესპანელ სამართალდამცველებს შორის მიმდინარეობდა ინფორმაციის ინტენსიური გაცვლა.

საპოლიციო ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიციის ატაშე ესპანეთის სამეფოში, რომელიც, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, ესპანელი კოლეგების მხარდაჭერას ახორციელებდა.

საქართველოსა და ესპანეთს შორის საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, 2016 წლის ივნისში ესპანელმა სამართალდამცველებმა დააკავეს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, 1980 წელს დაბადებული ა.გ., რომელიც იმავე წლის ივლისში ექსტრადირებულ იქნა საქართველოში.

2016 წლის ნოემბერში, საქართველოს შს სამინისტროს ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ესპანეთში ასევე განხორციელდა მასშტაბური სპეცოპერაცია „აიკონ 2“. აღნიშნული სპეცოპერაციის შედეგად ესპანეთის ოთხ ქალაქში: მადრიდში, ბილბაოში, სევილიასა და ბარსელონაში დააკავეს საქართველოს 45 და უცხო ქვეყნის 20 მოქალაქე, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

# სადახლოზე არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „სადახლო-საავტომობილოში“ 14 მარტს არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 14 მარტს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული საქონელი — სიგარეტი (1.000 ღერი) და ალკოჰოლური სასმელი კონიაკი (4,5 ლიტრი) აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და სატრანსპორტო საშუალება, ამასთან, სანქციის სახით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი კახიანი: „პატიმართა შეწყალების საკითხი კვლავ პრეზიდენტის განკარგულებით დარეგულირდება“

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის, დეპუტატ გიორგი კახიანის ინფორმაციით, პატიმართა შეწყალება კვლავ პრეზიდენტის განკარგულებით დარეგულირდება და მასთან დაკავშირებულ საკითხებს კანონი არ განსაზღვრავს.

საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებების სამუშაო ვარიანტით, შეწყალების წესი კანონით განისაზღვრება.

როგორც კახიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, კომისიაში მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეწყალებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდება ისე, როგორც ეს სადღეისოდ არის.

— კომისიის სხდომაზე იყო ამ საკითხზე მსჯელობა. სამუშაო ჯგუფის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან მსჯავრდებულთა შეწყალება არის პრეზიდენტის სრული დისკრეცია და წესრიგდება არა კანონით, არამედ პრეზიდენტის აქტით, დარჩეს ისე, როგორც არის.

საბოლოო ჯამში, მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ჩანაწერი, რომლის მიხედვით, შეწყალების საკითხი კანონით უნდა მოწესრიგდეს, კონსტიტუციაში არ იქნება, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გიორგი კახიანმა.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფი პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით მსჯელობს. განხილვის თემაა პრეზიდენტის უფლებამოსილებები და მისი არჩევის წესი.

**ინტერპრესნიუსი**






# დაპირისპირება კრიმინალურ „ავტორიტეტებში“

„კანონიერმა ქურდმა“ მერაბ ჯანგველაძემ (მერაბ სუხუმსკი), რომელიც თანამოძმეებს იტალიიდან უკავშირდება, აფხაზ ქურდებს შორის არეულობა გამოიწვია. არეულობის საბაბი მერაბის ერთგული თანამებრძოლი ალხაზ აგრბა გახდა, რომელსაც სამშობლოში ქურდად არ ცნობენ. აღსანიშნავია, რომ „სუხუმსკის“ პრობლემას ამ საკითხში ალხაზის გუდაუთელი თანამოქალაქეები „კანონიერი ქურდები“ — რაულ ბარცბა (პიზა), ალხაზ ავიძბა (ხასიკი) და ასტამურ შამბა (ასტიკი) უქმნიან.

სწორედ ამ სამეულმა შეუჩერა 2014 წელს ალხაზ აგრბას სტატუსი, მიუხედავად მერაბ ჯანგველაძის აღშფოთებისა. ასაკით უფროსი და ავტორიტეტული „პიზა“ უფრო შორს მიდის და არც მერაბ ჯანგველაძეს ცნობს ქურდად, რაც მას პირდაპირ საუბრის დროსაც უთხრა რამდენიმე წლის წინ — „შენ ქურდი არ ხარ“! საეჭვოა, ეს ფაქტი ჯანგველაძემ უყურადღებოდ დატოვოს.

სხვა „აფხაზები“ ვალერი ხაშბა, თემო გვასალია და თემო აკუბა მზად არიან, ალხაზ აგრბა „ქურდად“ აღიარონ და, ბუნებრივია, არ ეთანხმებიან „პიზას“ შეხედულებებს „მერაბ სუხუმსკის“ შესახებ. რაც შეეხება „ნანიკსა“ და „პაკას“, ისინი ჯერჯერობით არ აპირებენ საკუთარი პოზიციის ღიად დაფიქსირებას, ხოლო „აფხაზ ქურდთა პატრიარქი“ „ბორია აპაკელა“, უკვე დიდი ხანია არ თვლის საჭიროდ ასეთ იაფფასიან „რაზბორკებში“ ჩარევას და საერთოდ დატოვა კიდევაც აფხაზეთის ტერიტორია.

**ნიუპოსტი**

# მშენებლობის ნებართვაში 10.000 დოლარს ითხოვდნენ — ორი პირი დაკავებულია

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს ორი მოქალაქე: ბექა ბ. და მერაბ ბ. დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სუს-დან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბექა ბ, მერაბ ბ-სთან წინასწარი შეთანხმებით, ვითომდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდ მოსთხოვა 10.000 აშშ დოლარის გადახდა.

— აღნიშნულმა პირებმა მოქალაქეს თაღლითურად, წინასწარ გამოართვეს მათ მიერ მოთხოვნილი თანხა 10.000 აშშ დოლარის ოდენობით, რა დროსაც ისინი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს, — აცხადებენ სუს-ში.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**



# ყაზბეგში არადეკლარირებული ვერცხლისწყალი აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული, აზერბაიჯანის მოქალაქის, ზ.ს-ს ეჭვის საფუძველზე სხეულის სკანერით დათვალიერებისას, არადეკლარირებული ქიმიური ნივთიერება — „ვერცხლისწყალი“ (25 მგ.) აღმოუჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყაზბეგის კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.

**ინტერპრესნიუსი**

# ქუთაისში ბენზინგასამართი სადგური „მაქსიმუმი“ დააყაჩაღეს

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ბენზინგასამართი სადგური „მაქსიმუმი“ დააყაჩაღეს. შემთხვევა 15 მარტს 22:20 საათზე მოხდა. ბენზინგასამართი სადგურიდან 1.300 ლარია წაღებული.

— ერთი მორიგე ოპერატორი მუშაობდა. როგორც მან გვითხრა სამი ნიღბიანი სადგურში შეიჭრა, რომლებმაც თანხის წაღების შემდეგ გაქცევა მოასწრეს. თანამშრომელმა მაშინვე გამოუძახა პატრულს და მალევე მოვიდნენ. პირველად მოხდა ჩვენთან მსგავსი შემთხვევა.

აქ კამერებია და იმედია, გამოძიება მალე დაადგენს მათ ვინაობას, — აცხადებს „მაქსიმუმის“ მენეჯერი დავით ასათიანი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს და თავისუფლების ექვსიდან ცხრა წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სასამართლომ ტრამპის ახალი ემიგრაციული კანონის მოქმედება შეაჩერა



ჰავაის ფედერალურმა სასამართლომ შეაჩერა პრეზიდენტ ტრამპის ბრძანებულება შვიდი მუსლიმანური ქვეყნის მოქალაქეებისთვის აშშ-ში შესვლის შეზღუდვის თაობაზე.

ამან ტრამპი გააბრაზა.

– მოსამართლემ თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა! – თქვა მან.

ტრამპმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ უზენაეს სასამართლოში იჩივლებს და ჰავაის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას მიაღწევს.

# რექს ტილერსონი იაპონიაში ჩავიდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი იაპონიაში ჩავიდა. დაგეგმილია შეხვედრები პრემიერ აბესთან. მოლაპარაკების მთავარი თემა ჩრდილოეთ კორეიდან მომავალი საფრთხეა.

– ჩვენ მოკავშირეებს არ მივატოვებთ, იაპონია კი ჩვენი მოკავშირეა, – თქვა ტილერსონმა.

პარასკევს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი სამხრეთ კორეას ეწვევა.

# აშშ-ის ნაციონალურ დაზვერვას ახალი შეფი ჰყავს



აშშ-ის სენატმა ნაციონალური დაზვერვის ახალი უფროსი დაამტკიცა. ეს პოსტი რესპუბლიკური პარტიის წევრ დენ კოუტსს ერგო.

კოუტსი 1943 წელს დაიბადა, დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტი და ხელოვნების ბაკალავრის წოდება მიიღო, შემდეგ დაამთავრა ილინოისის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლა. მუშაობდა ადვოკატად. ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის დროს მისი კანდიდატურა თავდაცვის მინისტრის პოსტზე განიხილებოდა, თუმცა პრეზიდენტმა არჩევანი სხვაზე შეაჩერა.

კოუტსმა სახელი გაითქვა იმით, რომ 2014 წელს ფიფას წერილი მისწერა და რუსეთისთვის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლების ჩამორთმევა მოითხოვა. მიზეზი რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და დონბასში ომის დაწყება იყო.

# არჩევნები ნიდერლანდებში: ევროსკეპტიკოსები დამარცხდნენ



ჰოლანდიის არჩევნებში პრემიერ მარკ რიუტეს პარტია ლიდერობს. მას პარლამენტში 31 ადგილი ექნება. ულტრანაციონალისტური ორგანიზაცია, რომლის ლიდერი ვილდერი ჰოლანდიის ევროკავშირიდან გასვლას მოითხოვდა, 19 ადგილს მიიღებს.

პრემიერმა რიუტემ განაცხადა, რომ ჰოლანდიელმა ხალხმა პოპულისტებს მხარი არ დაუჭირა და ევროპის ერთიანობის იდეამ გაიმარჯვა. ნაციონალისტების ლიდერმა ვილდერმა დამარცხება აღიარა, თუმცა შენიშნა:

– შედეგებით მაინც კმაყოფილი ვარ. ჩვენ პარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობა გვეყოლება, რაც უდავოდ დიდი გამარჯვებაა.

ტრადიციულად, ჰოლანდიის პარლამენტში ბევრი პარტია გადის. გამოკვეთილი უპირატესობა არცერთს არ აქვს, ამიტომ იქმნება კოალიცია, რომელიც ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას იღებს.

# სომხეთის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა

სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი მოსკოვში ჩავიდა. მოლაპარაკებები ვლადიმერ პუტინთან დახურულ კარს მიღმა გაიმართა.



სარგსიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების შედეგებით კმაყოფილია.

– საუბარი საკითხთა ფართო სპექტრს შეეხო, დაწყებული სომხეთის ევრაზიულ სტრუქტურებში უფრო ფართო ინტეგრაციით, დამთავრებული ყარაბაღის პრობლემით, – განაცხადა სარგსიანმა.

პუტინმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ სომხეთი რუსეთის უახლოესი მეგობარი და მოკავშირეა. ჟურნალისტის შეკითხვას, აღიარებს თუ არა მოსკოვი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას, პუტინმა პასუხი არ გასცა. რუსეთის პრეზიდენტმა მხოლოდ ის თქვა, რომ ყარაბაღის პრობლემა მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს.

– ჩვენ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ, – თქვა პუტინმა.

# ნიკი ჰეილი: რუსეთის ნდობა არ შეიძლება!

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ განაცხადა, რომ რუსეთს აშშ-სთან პარტნიორობა კი არა, მისი დამარცხება სურს.




პუტინს შორსმიმავალი გეგმები გააჩნია. მას არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიის აღდგენა, არამედ ევროპიდან ამერიკელების გაძევება (ევროპის ფინლანდიზაცია) და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გავლენის ზრდა სურს. ამ მიზნით მიმდინარეობს „შიიტური რკალის“ შექმნის მცდელობა, რაც სირიაში უკვე სახეზეა.

– რუსეთის ნდობა არ შეიძლება! რუსეთს საპასუხო დარტყმა უნდა მიაყენო, რათა იმპერიული ილუზიები საბოლოოდ გაუქარწყლდეს! – თქვა ჰეილიმ.

# სირია: აფეთქება მართლმსაჯულების სასახლეში




დამასკოში ახალი ტერაქტი დაფიქსირდა. ამჯერად აფეთქება ქალაქის ცენტრში მდებარე მართლმსაჯულების სასახლეში მოხდა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში ტერორისტმა შაჰიდმა მოიყვანა.

ტერაქტის შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა.

# რომის პაპი: სამსახურიდან მუშების უმიზეზოდ დათხოვნა ცოდვაა!



რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ ქარხნების დახურვა და მუშების სამსახურიდან უმიზეზოდ გაშვება ცოდვაა.

– სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფინანსურ მაქინაციებს ეწევიან, ქარხნებს ხურავენ და ათასობით ადამიანს ქუჩაში ყრიან! ეს უმძიმესი ცოდვაა, – თქვა პაპმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


## საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

☎ 599-73-48-21.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს თასის სენსაციები

გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართა.

რამდენიმე მათგანი მოულოდნელი შედეგით დასრულდა – სწორედ ეს არის თასის გათამაშების მთავარი ინტრიგა.

**კოლხეთი 1913 1:0 დინამო ბთ**

<u>1:0 კოვტალიუკი (72)</u>

მეთექვსმეტედფინალის ყველაზე საინტერესო წყვილი და შავიზღვისპირა დერბი ფოთელთა გამარჯვებით დასრულდა. ქობულეთის „ჩელე არენაზე" კოლხეთმა ბათუმის დინამო 1:0 დაამარცხა.

ერთადერთი გოლი 67-ე წუთზე უკრაინელმა ლეგიონერმა, მიკოლა კოვტალიუკმა გაიტანა. ბათუმელთა მხრიდან გოლის გატანის კარგი შანსი პაპუნა ფონიავას მიეცა, მაგრამ ნახევარმცველმა პენალტი ვერ გამოიყენა.

**ალგეთი-დინამო 0:2**

<u>0:1, 0:2 არაბული (31, 85)</u>

მატჩი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 2:0 დასრულდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ დინამოელებმა არაერთი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს. ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა. გიორგი ჩაკვეტაძის ჩაწოდებას ბაჩანა არაბული გამოეხმაურა და ალგეთის კარი ზუსტი დარტყმით დალაშქრა. დედაქალაქელთა მასირებულმა შეტევებმა შედეგი საბოლოოდ 85-ე წუთზე გამოიღო. არაბულმა დასწრებაზე თავით ზუსტად ითამაშა, დუბლი გაიფორმა და შეხვედრის საფინალო ანგარიშიც დააფიქსირა.

**შევარდენი 1906 – საბურთალო 1:2**

<u>0:1 ხარაიშვილი (18პ), 0:2 ვაგნერი (58), 1:2 მაღალდაძე (90)</u>

**შევარდენი:** შეყრილაძე, შუბითიძე, ჭელიძე, ფოფხაძე, მაისურაძე, ოდიკაძე, გოგობერიშვილი, ნემსაძე, მაისურაძე, ბიბილეიშვილი, კერძევაძე.

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, ცნობილაძე, სოფრომაძე, მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი, ხარაიშვილი (ფანცულაია 70), ვაგნერი (ჩოგაძე 58), შინდაგორიძე (გვარაძე 63), იმნაძე

მატჩის მასპინძელი შევარდენი კი იყო, მაგრამ შეხვედრა საბურთალოს სტადიონზე ჩატარდა. შევარდენმა მოულოდნელად კარგად ითამაშა, მაგრამ მაინც დამარცხდა.

პირველ ტაიმში ნიკოლოზ მალის საჯარიმოში წაქცევისთვის, პენალტი დაინიშნა, რომელიც გიორგი ხარაიშვილმა ზუსტად შეასრულა. მეორე ტაიმის 56-ე წუთზე ბრაზილიელმა ვაგნერმა საჯარიმოს გარედან მეკარე შეყრილაძეს აუღებელი დაურტყა, 2:0. მასპინძლებმა ერთი გოლის გაქვითვა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე მოახერხეს – თავი გიორგი მაღალდაძემ გამოიჩინა. საბოლოოდ 2:1 გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდის სასარგებლოდ.

**ნორჩი დინამო-ლოკომოტივი 1:0**

<u>1:0 დეისაძე (8)</u>

ეს მატჩი მოულოდნელი შედეგით დასრულდა – ნორჩმა დინამომ რუსთავის ფოლადზე თბილისის ლოკომოტივს უმასპინძლა და ეროვნულ ლიგელი მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ლოკოს ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ გიორგი ხიდეშელმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის გამოყენება ვერ მოახერხა.



**გორი-შუქურა 1:1 (6:5პ)**

<u>1:0 სირბილაძე (7), 1:1 კუტალია (64)</u>

ნორჩ დინამოელთა მსგავსად, ლიგა 3-ის ბინადარი გორი კი, საკუთარ მოედანზე ქობულეთის შუქურას დაუხვდა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, პენალტების სერია კი მასპინძლებმა უკეთესად შეასრულეს და 6:5 დაამარცხეს მეტოქე.

**ვიტ ჯორჯია-სამტრედია 1:2**

<u>0:1 მარკოზაშვილი (7), 1:1 ღუდუშაური (50), 1:2 მარკოზაშვილი (73)</u>

საინტერესო გამოდგა „მცხეთა პარკზე გამართული შეხვედრა. თბილისის ვიტ ჯორჯიამ ჩემპიონ სამტრედიას უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. გამარჯვებულთა მხრიდან დუბლით თეიმურაზ მარკოზაშვილი გამოირჩა, ვეტერინართა მხრიდან კი გოლი პაატა ღუდუშაურის ანგარიშზეა.

**საპოვნელა-ტორპედო 0:2**

<u>0:1 საბანაძე (57), 0:2 ქიმაძე (68)</u>

ძალიან გაუჭირდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ საპოვნელასთან წარმატების მისაღწევად გვარიანი ოფლისღვრა მოუხდა ქვეყნის თასის მფლობელს. სამტრედიაში გამართული მატჩის ბედი მე-2 ტაიმში გადაწყდა, მანამდე კი, პირველ ნახევარში, დიდი უპირატესობის მიუხედავად, ტორპედოელებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს, რომელიც საკმაოდ ორგანიზებულად იცავდა თავს და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, კონტრიერიშებს მიმართავდა.

ქუთაისელებმა მეტი მონდომებით და გაცილებით მწვავედ შეუტიეს მეტოქეს თამაშის განახლების შემდეგ. ჯერ ნიკა საბანაძემ გახსნა ანგარიში, შემდეგ კი გიორგი ქიმაძემ მეორეც გაიტანა და საბოლოო წერტილი დასვა.

**სამეგრელო-გურია 1:1 (3:5პ)**

<u>1:0 იაკობაშვილი (14), 1:1 გოგუაძე (90)</u>

**სამგურალი 2-დილა 0:4**

<u>0:1, 0:2, 0:3 წიქარიძე (5,29,66), 0:4 კაკუშაძე (75 სკ)</u>

**რუსთავი-მერანი 1:0**

<u>1:0 სიჭინავა (90)</u>

**ლესიჭინე-ჩიხურა 0:7**

<u>0:1 მირცხულავა (18), 0:2, 0:3 ტატანაშვილი (22, 35), 0:4 გორგიაშვილი (41), 0:5 გაბედავა (54), 0:6 ტატანაშვილი (61), 0:7 სარდალიშვილი (85)</u>

**სქური-სიონი 1:3**

<u>0:1, 0:2 ლილუაშვილი (32, 58), 0:3 ხაბელაშვილი (70), 1:3 სალია (90)</u>

**ზუგდიდი – ცხინვალი 3:2 (დდ)**

<u>0:1 ცხოვრებაძე (37), 1:1 ფარჯიკია (45პ), 2:1 კუკავა (58), 2:2 ლეჟავა (71), 3:2 ბულია (107)</u>

**ჭიათურა-სამგურალი 1:4 (დდ)**

<u>0:1 კილაძე (60), 1:1 მოგელაძე (75), 1:2 ჩიხლაძე (106), 1:3 ჩხეტიანი (110), 1:4 ლაღაძე (118)</u>

**გაგრა-მეშახტე 2:0**

<u>1:0 ქანთარია (4), 2:0 ქურდაძე (45)</u>

**გარეჯი-იმერეთი 0:1**

<u>0:1 თევდორაძე (90)</u>

# მონაკომ მანჩესტერი თავადურად გაიარა

**მონაკო-მანჩესტერ სიტი 3:1**

<u>მონტე კარლო. ლუი II</u>

<u>1:0 მბაპე (8), 2:0 ფაბინიო (29), 2:1 სანე (71), 3:1 ბაკაიოკო (77)</u>

**მონაკო:** შუბაშიჩი, სიდიბე, რაჯი (ტურე 70), ჟემერსონი, მენდი, ფაბინიო, ბაკაიოკო, ლემარი, ბერნარდო სილვა, ჟერმენი (დირარი 90), მბაპე (მოუტინიო 81)

**სიტი:** კაბალიერო, სანია, სტოუნსი, კლიში (იენაჩო 84), კოლაროვი, სანე, ფერნანდინიო, სილვა, დე ბრუინი, აგუერო, სტერლინგი



არიან ადამიანები, რომლებიც ამ შედეგს ელოდნენ. ისეთებიც არიან, რომლებიც მონაკოს გასვლას საოცრებას უწოდებენ, თუმცა შეფასებები არ არის მნიშვნელოვანი – მთავარი ფაქტია: მონაკომ, რომელმაც პირველი მატჩი საოცარ თამაშში 3:5 წააგო, შინ 3:1 მოიგო და მანჩესტერ სიტი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს მიღმა დატოვა. თავადების სასარგებლოდ ითამაშა მეტოქის მოედანზე გატანილმა მეტმა გოლმა.

მონტე კარლოში გუნდებმა 2 განსხვავებული ტაიმი ითამაშეს: პირველი მთლიანად მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა და ნახევარ საათში საერთო ანგარიში უკვე მათ სასარგებლოდ იყო. კილიან მბაპე-ლოტინმა უკვე მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო შემდეგ ფაბიანომ მეორეც მიაყოლა და მონეგასკები კომფორტულ მდგომარეობაში ჩააყენა. გოლების გარდა, მონაკოს სათამაშო უპირატესობა დიდი იყო და მატჩს მთლიანად ისინი აკონტროლებდნენ.

მე-2 ტაიმში სიტუაცია შეიცვალა. როგორც ჩანს, გვარდიოლამ გუნდი გასახდელში „დაქოქა" და სიტი უკეთესად ათამაშდა. ამაში ხელი მონაკომაც შეუწყო – ჟარდიმის გუნდმა უკან დაიწია და მეტოქეს მეტი სივრცე მისცა. რამდენჯერმე სუბაშიჩმა იხსნა გუნდი, მაგრამ 71-ე წუთზე ლეროი სანემ მაინც გაიტანა და ახლა უკვე სიტის მხარეს გადავიდა უპირატესობა. შესვენების შემდეგ განვითარებული სცენარის მიხედვით ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ მონაკო ისევ შემოაბრუნებდა მატჩს, მაგრამ თავადებს ერთი სტანდარტულიც ეყოთ: 77-ე წუთზე ბაკაიოკომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა მონაკოსთვის სასურველი შედეგი და ამის შემდეგ სიტი თამაშში ველარ დაბრუნდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ფაბიანო

შეგვეძლო დითირამბები მიგვეძღვნა ნორჩი მბაპესთვის და ძალიან ტექნიკურად მოთამაშე მენდისთვის, მაგრამ ფაბიანო ნამდვილად სხვებზე უკეთ გამოიყურებოდა. ბრაზილიელი ასწრებდა ყველაფერს, დიდებულად მუშაობდა დაცვაში და შესანიშნავად ერთვებოდა შეტევაში.

**ატლეტიკო-ლევერკუზენი 0:0**

<u>მადრიდი. ვისენტე კალდერონი</u>

**ატლეტიკო:** ობლაკი, ვრსალიკო, ხიმენესი, გოდინი, ერნანდესი, საულ ნიგეზი, პარტეი, კოკე, კარასკო (სავიჩი 71), კორეა (გაიტანი 65), გრიზმანი

**ლევერკუზენი:** ლენო, ჰილბერტი, იედვაი, დრაგოვიჩი, ვენდელი, ბელარაბი, ბაუმგარტლინგერი, კამპლი, ბრანდტი (ბაილი 78), ჩიჩარიტო (მეჰმედი 81), ვოლანდი (არანგიზი 88)

მადრიდელები სოლიდური ჰანდიკაპით შეხვდნენ საშინაო მატჩს. პლუს ლევერკუზენიც არ არის ისეთ სათამაშო ფორმაში, რომ ატლეტიკოს გაუტოლდეს. ამისთვის არც კლასი და ოსტატობა ეყო. მასპინძლებმა ძალიან მშვიდად ჩაატარეს მატჩი.

ერთია, პირველი ტაიმი ძალიან მოსაწყენი იყო, არც მომენტები, არც დინამიკა არ ჩანდა.

შესვენების შემდეგ ლევერკუზენმა ოდნავ მოუმატა მოძრაობაში. ეს კარგად დაინახა ატლეტიკომ და თავადაც აგრესიული გახდა. თუმცა, ამ ყველაფერს უფრო ქაოსური ხასიათი ჰქონდა.

ლევერკუზენს შეეძლო გოლის გატანა და სიტუაციის ოდნავ დაძაბვა, მაგრამ ობლაკმა და ატლეტიკოს მცველებმა ამის საშუალება არ მისცეს, ხოლო როდესაც ბოლოსკენ გარისკეს და დაცვა მოაშიშვლეს, უკვე ატლეტიკოს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ რეალიზაციამ დაალალატა, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი, ატლეტიკოს დამაჯერებლად მოეგო 2 მატჩის ჯამში.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ხოსე ხიმენესი

შესანიშნავად ითამაშა დაცვაში, კარგად კითხულობდა თამაშს, საჭირო დროს საჭირო ადგილზე იდგა, აზღვევდა თანაგუნდელებს და ლევერკუზენს შეტევის საშუალებას უსპობდა.

# ვლადიმირ ვაისის იძულებითი ცვლილებები

24 მარტს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სერბეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა რამდენი დღის წინ კი დაასახელა შემადგენლობა, მაგრამ რამდენიმე იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუხდა.

თბილისში საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახებული თორნიკე ოქრიაშვილი და ლევან მჭედლიძე ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდნენ. შეგახსენებთ, რომ თორნიკე ოქრიაშვილი დისკვალიფიკაციის გამო სერბეთთან მატჩს ტოვებდა და მხოლოდ ლატვიასთან განაცხადში იყო.

ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ტრავმირებული ფეხბურთელების ნაცვლად, შეკრებაზე 2 ფეხბურთელი გამოიძახა. ეროვნული გუნდის შეკრებას ყაზახეთის ატირაუს წევრები უჩა ლობჟანიძე და ვლადიმერ დვალიშვილი შეუერთდებიან.

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა სერბეთთან და ლატვიასთან მატჩში:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ესბიერგი, დანია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ჯემალ ტაბიძე (ურალი, რუსეთი), გიორგი რეხვიაშვილი (ლოკომოტივი), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), ნიკა კვეკვესკირი (გაბალა, აზერბაიჯანი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ვალერი ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია), სანდრო კობახიძე (გიოზთეფე, თურქეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ვლადიმერ დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ენოსისი, კვიპროსი), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია).

*მოამზადა მანუელ ყორყოლიანმა*



**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმიმოქცევის მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგი 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, ქაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# საშიშია თუ არა ხვრინვა

ეკა ირემაშვილი

ხვრინვა საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. ადამიანთა მნიშვნელოვან ნაწილს აწუხებს ხვრინვის პრობლემა. ხშირია კითხვები – რა არის ხვრინვა, რატომ ხვრინავს ადამიანი, რა საფრთხეს შეიცავს ეს თითქოსდა უმნიშვნელო ჩვევა და სად არის გამოსავალი?

აღნიშნულ თემაზე ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებების, თავისა და კისრის ქირურგიის გერმანიის აკადემიის წევრი, საქართველოს რინოლოგთა ასოციაციისა და კლინიკა „ლანცეტის“ ოტორინოლარინგოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ ხვადაგიანი საუბრობს.



**მერაბ ხვადაგიანი:**

– ხვრინვა საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით, მოსახლეობის 8-72%-ს ძილში ხვრინვა აღენიშნება. 20 წლამდე ხვრინავს 10%-ზე ნაკლები, 60 წლის ზემოთ კი – 50%-ზე მეტი. ხვრინვის ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი ჭარბი წონაა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთან როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში საკმაოდ არის გავრცელებული.

***– საშიშია თუ არა ხვრინვა?***

– თავისთავად, ხვრინვა საშიშროებას არ წარმოადგენს. საშიშია ხვრინვის დროს ძილში სუნთქვის ხანგრძლივი შეჩერება, ე.წ. ობსტრუქციული აპნოე. ძილის დროს ფიზიოლოგიური აპნოე და იშვიათი ხვრინვა ზოგჯერ ჯანმრთელ ადამიანებშიც აღინიშნება. პათოლოგიური ობსტრუქციული აპნოეს დროს ძილის ხანგრძლივი ფაზის 1 საათის განმავლობაში 10-ჯერ მაინც აღინიშნება 10-წამიანი ან უფრო ხანგრძლივი სუნთქვითი პაუზა.

ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არტერიულ სისხლში ჟანგბადის გაჯერების კრიტიკულ ზღვრამდე – 90%-მდე შემცირებას. მნიშვნელოვნად მცირდება თავის ტვინის, გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და სხვა ორგანოების ჟანგბადით მომარაგება. შესაბამისად, მაღალია ცერებრალური და კარდიოვასკულარული სხვადასხვა პათოლოგიის განვითარების რისკი. ამიტომ არც ისე იშვიათია ხვრინვის დროს ინფარქტისა და ინსულტის განვითარება, ზოგჯერ ლეტალური გამოსავლითაც კი.

***– მამაკაცები უფრო ხშირად ხვრინავენ?***

– აღსანიშნავია, რომ ხვრინვა და ობსტრუქციული აპნოე 5-10-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში და მაქსიმუმს 50-55 წლის ასაკში აღწევს, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, თანდართული ჭარბი წონაც უწყობს ხელს. ასეთ პაციენტებს ხშირად ნევროზები, ჰიპერტონია და ერექციული დისფუნქციაც აღენიშნებათ.

სტატისტიკურად მოსახლეობის 55%-ს, რომელსაც ხვრინვა აღენიშნება, აქვს ობსტრუქციული აპნოე, რომელიც ადგილობრივი მიზეზებით არის გამოწვეული. შეფერხებულია ცხვირით ნორმალური სუნთქვა, ამ უკანასკნელს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისათვის. ცხვირით სუნთქვის გაძნელებას ძირითადად იწვევს: ცხვირის ძგიდის გამრუდება, ნიჟარების ჰიპერტროფია, ცხვირის პოლიპოზი, ბავშვებში ადენოიდების ჰიპერტროფია, ცხვირ-ხახის სხვადასხვა პათოლოგია, სასის ნუშურების ჰიპერტროფია, ასევე ნაქის, რბილი სასისა და ენის ძირის პათოლოგიები.

***– როგორ ხდება დიაგნოსტირება?***

– ობსტრუქციული აპნოეს კლინიკური დიაგნოსტირება ზედა სასუნთქი გზების ენდოსკოპიური გამოკვლევით იწყება. შემდეგ ცხვირის დანამატი წიაღების ექოსკოპია, ალერგიული ტესტები, ფილტვების რენტგენოგრაფია და ე.კ.გ. კეთდება. საჭიროების შემთხვევაში გამოკვლევებში პულმონოლოგი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ყბა-სახის ქირურგი მონაწილეობს.

ხვრინვის დიაგნოსტიკისთვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ღამით ბუნებრივი ძილის დროს პაციენტის გამოკვლევას სპეციალური ხელსაწყოს გამოყენებით. პოლისომნოგრაფია გულისხმობს ორგანიზმის სასიცოცხლო პარამეტრების ჩაწერასა და ძილში ხვრინვისა და აპნოეს ეპიზოდების დაფიქსირებას. აღნიშნული გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს, გაკეთდეს დიფერენცირება ობსტრუქციულ და ცენტრალურ აპნოეს შორის.

***– როგორ მკურნალობენ ობსტრუქციულ აპნოეს?***

– ობსტრუქციული აპნოეს თანამედროვე ქირურგიული მეთოდებით მკურნალობა მაღალრადიოსიხშირული აპარატის გამოყენებით არის შესაძლებელი. ჩვენს კლინიკაში დიაგნოზის დაზუსტება ენდოსკოპიური ტექნიკით, ოპერაციები კი რადიოსიხშირული მეთოდების გამოყენებით წარმატებით ხორციელდება. აღნიშნულ მეთოდს ის უპირატესობა აქვს, რომ ოპერაცია, პრაქტიკულად, უსისხლოდ, უმტკივნეულოდ და ტამპონების გარეშე ხორციელდება.

***– რას ურჩევდით მკითხველს ხვრინვის პროფილაქტიკისთვის?***

– ხვრინვის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებას ცხოვრების ჯანსაღი წესი და ასაკთან შესაბამისი ფიზიკური აქტიურობა წარმოადგენს.

# ხალების გამო დაცინვის ობიექტად ქცეული გოგონა მოდელი გახდა



ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მცხოვრებმა გოგონამ, რომელსაც ხალების სიმრავლის გამო დაცინვით დალმატინელს ეძახდნენ, სამოდელო გადაღებებში მიიღო მონაწილეობა.

16 წლის ალბა პარეხო პიგმენტური ნევუსით არის დაავადებული. დაბადებიდან თანდაყოლილი დაავადების გამო გოგონას სახეზე 500-ზე მეტი ხალი აქვს. აღსანიშნავია, რომ გოგონას მთელი ცხოვრება უცხოპლანეტელს ეძახდნენ და მისი გარეგნობის გამო შეურაცხყოფას აყენებდნენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც ესპანელმა სოციალურ ქსელში საკუთარი ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც ის საცვლებში გამოწყობილია გადაღებული, ამ კადრმა უამრავი დადებითი გამოხმაურება და კომენტარი მიიღო.

სურათმა 1,5 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა. ამგვარად, პახერომ ყველას დაანახა, რომ საკუთარ გარეგნობას ისეთად აღიქვამს, როგორიც აქვს და თავისი სხეულის სულაც არ ერცხვინება.

– ახლა უკვე ძალიან ბედნიერი ვარ. საკუთარი დაავადება წარმოვაჩინე და ადამიანებს ამაზე დადებითი რეაქცია ჰქონდათ. მათ მიაჩნიათ, რომ მშვენიერი სხეული მაქვს, ხოლო მხატვრები ჩემი კანით აღფრთოვანებული არიან. ისინი მასში ხელოვნებას ხედავენ, – განაცხადა გოგონამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქართველი მომღერლები სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის იმღერებენ



19 მარტს სპორტის სასახლეში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება, რომელიც მიეძღვნება „ბერი ანდრიას ფონდის“ სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო სასტუმროს „ბედნიერი სახლის“ მშენებლობას. ეს იქნება პირველი სახლი, სადაც სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვები და მათი ოჯახები სრულიად უფასოდ მიიღებენ სარეაბილიტაციო მომსახურებას. სარეაბილიტაციო სახლი ერთდროულად 20 ბავშვსა და მშობელს 24-საათიან მომსახურებას გაუწევს. იმუშავებს დღის ცენტრი, სადაც ბავშვები და მათი მშობლები დღის განმავლობაში საჭირო სერვისებს მიიღებენ.

საქველმოქმედო კონცერტში სრულიად უსასყიდლოდ მიიღებენ მონაწილეობას ნიაზ დიასამიძე და 33ა, ნიკოლშოუ, რეგიონი, გუფი ლენდი, ლაუდ სპიკერსი, ბანდეროლი, ლევან მასპინძელაშვილი და ბენდი, ვინდოუ.

საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორია ფონდი „ცხოვრება მშვენიერია“, რომელიც უკვე 4 წელია, ორგანიზებას უწევს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას. ფონდის წევრები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობენ და მოუწოდებენ ყველას, საქველმოქმედო კონცერტზე მივიდნენ და ერთი ნაყიდი ბილეთით „ბედნიერი სახლის“ მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა.

ფონდს თავისი არსებობის განმავლობაში ჩატარებული აქვს საქველმოქმედო საღამოები ნიკუშა ნატროშვილის, მარიამ მათიაშვილის, ლუკა დავიანტის, ანი ვანიძის, ლენუკა ჩხიკვაძის სიცოცხლის გადასარჩენად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# საქართველოს ყრუთა კავშირის

## განცხადება

საქართველოს ყრუთა კავშირი გაცნობებთ, რომ 2017 წლის 19 მარტს არ გეგმავს ყრილობას. ყრილობა ჩატარდა 2017 წლის 12 მარტს.

განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ თაობაში“ ჩვენთვის გაურკვეველი პიროვნებების მიერ, არის არაუფლებამოსილი.

**განმცხადებელი – საქართველოს ყრუთა კავშირის ვიცეპრეზიდენტი მაია მეტონიძე**

# ასტროპროგნოზი

**17 მარტისათვის**



**ვერძი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **კურო** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ნეგატიური დღეა. კოლეგებთან და ნათესავებთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – მოთმინება დღის დევიზია. ერიდეთ დაუფიქრებელ მოქმედებებსა და მკვეთრ გამონათქვამებს. **ლომი** – საქმიანი შეხვედრები, საბუთების გაფორმება დიდ დროს წაგართმევთ. აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – საკუთარი პოზიციები მტკიცედ დაიცავით. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან – ქუჩაში, სახლში, სამსახურში. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – ნაცნობებთან, კოლეგებთან ზომიერება დაიცავით. თავს ემოციების გამოვლენის უფლებას ნუ მისცემთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – ნეგატიურ აზრებს გასაქანს ნუ მისცემთ. მშვიდად იმუშავეთ. ენერგია დაზოგეთ. **თევზები** – ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ან მცირე კამათი გარშემომყოფებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფოლადის ბაგირი გემზე; 2. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 3. ზმნის დრო გრამატიკაში; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 6. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. სამკითხაო ბანქო.

**თარაზულად:** 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი, წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 7. ფილოსოფოსის, ექიმ იბნ სინას მეორე სახელწოდება; 9. ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისთვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყელი; 2. აჯა; 3. ბოტანიკა; 4. გო; 5. „ალკატელი“; 6. ჟაკო; 7. ტასმანი; 10. პესო; 11. „ზავენტემი“; 12. ჰელვეცია; 13. პატი; 16. ფეიხოა; 18. ნიქოზია; 19. აფონია; 21. სვავი; 24. კაშია.

**თარაზულად:** 1. ყვირილა; 3. ბადაგი; 8. ალკალა; 9. ლაპი; 14. შპრეე; 15. ბატუტი; 17. ლუტი; 20. კონუსი; 22. „ლოიდი“; 23. ფრესკა; 25. შჩი; 26. ხაჭო; 27. დოლი; 28. შიომღვიმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „იტაიპუ“; 2. ზარზმა; 3. იმედი; 5. ოხრა; 6. მწყერი; 8. მელაძე; 11. ენციკლიკა; 13. ბარამბო; 14. „ბენიასა“; 15. „ჰერალდი“; 19. ნიკე.

**თარაზულად:** 1. ინკვიზაცია; 4. ბოჭორმა; 7. აგუძერა; 9. დანელია; 10. ჩექმა; 12. სტამბოლი; 16. მეტონიძე; 17. „იროკეზი“; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. „მომა“; 22. ოპონენტი.

# თაკო გაჩეჩილაძე პარიზში გაქურდეს



მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე, რომელიც წელს საქართველოს უკრაინაში გამართულ ევროვიზია 2017-ზე წარადგენს, პარიზში გაქურდეს.

თაკო საფრანგეთში ორი დღის წინ ჩავიდა და, საყიდლებზე სიარულში გართულმა, მოგვიანებით აღმოაჩინა, რომ ქურდების მსხვერპლი გახდა.

ინფორმაცია მომღერალმა ინტერნეტში თავად გაავრცელა და დახმარება ითხოვა:

– სოს! სასწრაფოდ! თიბისი ბანკში არავინ მუშაობთ? საფულე მომპარეს და დაბლოკვა მინდა!

მომღერლის ინფორმაციით, ქურდობა პარიზში ერთ-ერთ მაღაზიაში მოხდა. მან დანაშაულთან დაკავშირებით ადგილობრივ პოლიციაში განაცხადა.

# მალიბუ ტუღუში: „ვითხოვ, რომ დამაფასონ!"



ახალგაზრდა მომღერალი მალიბუ ტუღუში ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორის" მესამე სეზონიდან გაიცნო. გიორგი გაბუნიას გუნდში მოხვედრილმა მომღერალმა ბევრი იბრძოლა და დაამტკიცა, რომ სცენაზე დგომის უფლება აქვს. პროექტის დასრულების შემდეგ მომღერალმა ახალი სიმღერა ჩაწერა, კლიპი გადაიღო და მსმენელში დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მალიბუ თავის გულშემატკივრებს გულახდილად ესაუბრება და არ მალავს, რომ მოითხოვს, დააფასონ.

**მალიბუ:**

– მოდით, გულახდილად ვისაუბრებ. ყველაზე მტკივნეული, იცით, რა არის? როდესაც შეუჩერებლად იბრძვი რაღაცისთვის, მაგრამ ვიღაც მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოსწონხარ, გზებს გიკეტავს. ყოფილა დღეები, როდესაც საჭმელი მენატრებოდა, გარეთ გამითევია ან მიფიქრია ყველაფრისთვის თავის დანებება... თუმცა მაინც შეუჩერებლად ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მიყვარს, არ მკითხოთ, როგორ, რადგან ეს ჩემთვის ძალიან რთულია.

ერთადერთ რაღაცას ვითხოვ, რომ დამაფასონ. მიუხედავად ყველაფრისა, ყველას ვუღიმი, ვეხმარები და არასდროს ვამბობ, რა ხდება ჩემში, თუმცა, ის ადამიანები, რომლებიც უსაქმურად სხედან... მათ, უბრალოდ, გაუმართლათ და სხვის ხარჯზე უდარდელად იწყობენ ცხოვრებასა და კარიერას. არ მინდა ბევრი საუბარი... არასდროს არავისი შემშურდება, რადგან მე ვიცი, ვინ ვარ, რა მეკუთვნის და რა არა, რა გამოვიარე აქამდე, ისიც ვიცი, რომ კიდევ ბევრი რაღაცის გადალახვა დამჭირდება, თუმცა მე მზად ვარ. მჯერა, რომ ერთ დღესაც მე გავიმარჯვებ.

# ზურა შარია საქართველოს ლატარიის კომპანიის წინააღმდეგ



– ვაპირებ, ვუჩივლო! – აცხადებს მსახიობი ზურა შარია და საქართველოს ლატარიის კომპანიას მომხმარებლისთვის ინფორმაციის განზრახ დამალვაში ადანაშაულებს.

**ზურა შარია:**

– საქართველოს ლატარიის კომპანიას მომხმარებლისთვის ინფორმაციის განზრახ დაფარვაში ვადანაშაულებ!!! არცერთ გათამაშებაში მონაწილე მთავარ ბილეთს არ აწერია, რომ თურმე 60 კალენდარული დღე აქვს ვადა!!!!!!! ყველა ვადიან პროდუქტს ზედ აწერია ვარგისიანობის ან მოქმედების ვადა!!!! ვაპირებ, ვუჩივლო!

ალბათ, დაახლოებით 4000 ლარის ბილეთები მომიგროვდა, ერთიანად ვამოწმებ ხოლმე, ბევრი არაფერი, 3-მა ბილეთმა 100 ლარამდე მოიგო, მაგრამ არსად წერია, რომ 60 კალენდარული დღე აქვს ვადა. შავ შესავსებს აწერია უკან და ძირითადს არსად არ აწერია. თუ გაინტერესებს, ცხელ ხაზზე უნდა იკითხოო. 4 სიტყვის დაწერა სპეცომ არ უნდათ. საჩივლელია. არც რეკლამაში არ ამბობენ.

# პოლონეთის მუზეუმში ქართველების შესახებ ახალი დეტალები აღმოაჩინეს

პოლონეთის ქალაქ ვარშავაში მდებარე მეფეთა სასახლეში საქართველოდან ჩასულმა დელეგაციამ ქართველების შესახებ ახალი დეტალები აღმოაჩინა.

საქართველოს ხელოვნების სასახლის დელეგაცია უკვე ერთი კვირაა, პოლონეთშია და იქაური მუზეუმების მუშაობასა და გამოცდილებას ეცნობა.

ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია მე-17 საუკუნის ქართველებთან დაკავშირებით ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ფაქტს ასაჯაროებს:

– უკვე ერთი კვირაა, საქართველოს ხელოვნების სასახლის დელეგაცია პოლონეთში იმყოფება. ვესტუმრეთ არაერთ მუზეუმსა თუ ისტორიულ ძეგლს. დღეს ვიყავით ვარშავაში პოლონეთის მეფეთა სასახლეში და სწორედ აქ ჩვენთვის საინტერესო ერთი ფაქტი აღმოვაჩინეთ, კერძოდ, მე-17 საუკუნეში ბართოლომეუს შაჰმანს უმოგზაურია ოსმალეთის იმპერიაში, ჩაუხატავს არაერთი მოხელე თუ მოღვაწე და მათ შორის დაუხატავს ქართველიც. მარჯვენა ზედა კუთხეში მინიატურას აწერია გეორგიანკა. მართალია, ეს გურჯი ოსმალურ ტანსაცმელშია გამოწყობილი, მაგრამ ეს გარემოება მაშინდელ საქართველოში დამკვიდრებულ ვითარებას, პოლიტიკურ სიტუაციასა და მოდას ასახავს!




ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო გამოსახულებაა, მსგავსი პირადად მე მანამდე არ მინახავს, მით უფრო, რომ ასეთი მინიატურებით ჩვენი ისტორიოგრაფია განებივრებული არ არის! ამ მინიატურის დედანი ყატარის ორიენტალიზმის მუზეუმშია დაცული, პოლონეთში გდანსკის მუზეუმმა გამოფინა და კატალოგიც კი მიუძღვნა. სწორედ აქედან გახდა ჩვენთვის ცნობილი ეს სასიხარულო ფაქტი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

## პარასკევი 17 მარტი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **15.00** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. ცნობიერებით მანიპულირება" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **22.00, 03.30** "რეალური სივრცე" **23.00** მხ/ფ **"ჯულია და ჯული"** (მ.სტრიპი) **01.00** მხ/ფ **"უსახელო ნაბიჭვრები"** (ბ.პიტი)

**08.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **09.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **12.00** ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00** ჩემპიონთა ლიგის "მეოთხედ ფინალში მონაწილე გუნდების წილისყრა **15.20, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ ურთხმელი" სასარგებლო საწამლავი **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი" **22.00** ტ/სერ. **"ჩიკაგოს პოლიცია "** **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ **"შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი"**

**05.50, 14.40** სერ. **"ელიფი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** მხ/ფ **"რიგითი რაიანის გადასარჩენად"** **01.00** მხ/ფ **"საბედისწერო ლტოლვა"** **03.15** მხ/ფ **"მოჩვენებათა ქალაქი"**

**06.00, 16.55** სერ. **"ოქროს გალია"** **06.45, 20.10** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **15.55** სერ. **"ინდური საგა"** **19.00, 20.03** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.30** სერ. **"სამშობლო"** მხ/ფ, კურიერის დაიჯესტი მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. **"დოქტორი ჰაუსი"** **11.00** სერ. **"მშობლები"** **13.00** სერ. **"სიმართლის ანატომია"** **15.00** სერ. **"სასტუმრო, სეზონი"** **17.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **21.00** მხ/ფ **"ჩვენ მილერები ვართ"** **23.15** მხ/ფ **"წერილი ბოთლში"** **01.45** მხ/ფ **"სხვა და"**

**06.15** კვირიაკე **07.15** დ/ფ "საქართველოს ისტორია-დამოუკიდებლობის აღდგენა" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** მხ/ფ **"უფლისწული და მათხოვარი"** I , II **12.10** პორტრეტები **13.05** აქტუალური თემა-"სასოწარკვეთილება" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები "მამა დავითი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთი წვეთი **15.40** სამყაროს შექმნა **15.55** ივერიის ეკლესია **16.10** დ/ფ "პირველად იყო სიტყვა" **17.15** მესამე კვირის სამოციქულო საკითხავის განმარტება **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** მხ/ფ **"დათა თუთაშხია"** 2 სერ. **20.40** ძილი ნებისა "მძლეთამძლე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა ჭერემისა" VI ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ქართული ტაძრები, რომელსაც სომხები გვედავებიან" **3 00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "ფთილა ხელისგულის ოდენად გაპენტილი მატყლი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. **"კარმელიტა ბოშური ვნება"** **10.00** სერ. **"ორი გული"** **11.00** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 3.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. **"მარისა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. **"ვერონიკა"** **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. **"გემი"** **23.15** სერ. **"ესკობარი"** **0.30** სერ. **"წითელი ფეხსაცმლის დღიური"** **1.00** მხ/ფ **"ყინულის კაცი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები

## ბექა!



უკვე მერამდენედ მოვიდა გაზაფხული უშენოდ. განგებამ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა წილად. შენი უდროოდ წასვლით ამქვეყნიდან დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც. შენ ერთადერთს შემოგხაროდი, შენიც ვცოცხლობდი, მხოლოდ შენ იყავი ჩემი საფიქრალი. ასეა ახლაც, ასე იქნება სულ... ვიდრე სული მიდგას, მუდამ ჩემთან იქნები, გულით გატარებ, ჩემო კოპწია ბიჭო!

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო! ღმერთმა ნათელში ამყოფოს წუთისოფელს განშორებული, ზეცად ამაღლებული შენი სული!

**დედა**

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის პროფესორი



**შალვა გოგიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი



**შალვა გოგიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება გამოხატავს დიდ მწუხარებას უნიჭიერესი პოეტის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, მამულზე უზომოდ შეყვარებული კაცის, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის

**გენო კალანდიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

---

ლენგერ და ლევან ბოჭორიშვილები, თამაზ გეგეშიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი სამთო ინჟინერი

**ალიოშა ბოჭორიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნუნუ ხუნდაძე, შვილები მარიკა, კოტე კავილაძეები, რძალი ნათია ჯაფარაშვილი, სიძე დათო სინჯიაშვილი, შვილიშვილები ანასტასია სინჯიაშვილი, გიორგი, რეზი კავილაძეები, და ლიგია, მძახლები ნინელი ფირცხალავა, რეზო ჯაფარაშვილი ოჯახებით იუწყებიან

**იოსებ (სოსო) კავილაძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 17, 18 მარტს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 19 მარტს, 14 საათზე;
მისამართი: ფალიაშვილის 11ა.

---

შპს „თერგი-I"-ის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს რევაზ ჯაფარაშვილს მძახლის

**იოსებ კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს „თი-ელ-ჯის" ადმინისტრაცია თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს კოტე კავილაძეს

**იოსებ კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს კორპორაცია „კოლხას" კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე კორპორაციის დამფუძნებლის, ბატონი კოტე კავილაძის მამის

**იოსებ კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ბაბუნაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მეგობრის კოტე კავილაძის მამის

**იოსებ კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ოქროს კიდობანის" ადმინისტრაცია უსამძიმრებს ნათია ჯაფარაშვილს მამამთილის

**იოსებ კავილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს „BLG group"-ის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გიორგი კავილაძეს გარდაეცვალა ბაბუა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.491

ევრო — 2.6454

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0348

100 რუსული რუბლი — 4.2175

## ამინდის პროგნოზი 17 მარტისთვის








## 10 მარტიდან

120 ამბავი

# ალექსანდრე მაკედონელი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 13 მარტიდან

ეკა ჩიხლაძე

# დასახვრეტი საქმე




წიგნში საბჭოთა საქართველოს მიერ საქმის ორგანიზატორად შერაცხული და დახვრეტილი ბერი თეოდორეს ქალიშვილი, ეკა ჩიხლაძე მოგვითხრობს თვითმფრინავის ბიჭების შესახებ, რომელთა ქმედებისა და დასჯის მიმართ დღემდე რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

წიგნში გაეცნობით „შავი ყუთის" შიფროგრამას, თვითმფრინავის სქემას, ფოტოებს და სხვა.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




## 17 მარტიდან

მიხეილ კვესელავა

# ნიურნბერგის პროცესი

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ჯო ჰარტი ტორინოდან წასვლას არ აპირებს



ჯო ჰარტმა თავის იტალიურ ცხოვრებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ტორინოში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს.

ჰარტი ტორინოში იჯარის წესით თამაშობს, თუმცა ტორინოს სეზონის ბოლოს მისი გამოსყიდვის უფლება ექნება.

ჰარტის თქმით, ის ტორინოში დარჩენას აპირებს, რადგან ძალიან მოსწონს როგორც იტალიური ფეხბურთი, ასევე კულტურა და ცხოვრების წესი.

როგორც მოგეხსენებათ, ჯო ჰარტი წლების განმავლობაში მანჩესტერ სიტის მეკარე და ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ხოსეპ გვარდიოლას მისვლის შემდეგ ჰარტმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რის გამოც მას გვარდიოლასთან უთანხმოება მოუვიდა და საბოლოოდ ჰარტმა მანჩესტერ სიტი დატოვა.

## ხორხე სამპაოლი ბარსელონას მწვრთნელი არ გახდება

სევილიის არგენტინელი მწვრთნელი ხორხე სამპაოლი ზაფხულში ბარსელონას არ ჩაუდგება სათავეში. ამის შესახებ ინფორმაცია კატალონიურ პრესაში ვრცელდება.

ამ ინფორმაციის თანახმად, ბარსელონის ხელმძღვანელობა სამპაოლის კანდიდატურას სერიოზულად არ განიხილავს. თვითონ არგენტინელმა სპეციალისტმა ასევე უარყო ბარსელონაში წასვლის შესახებ ინფორმაცია და თქვა, რომ ის სევილიაში კიდევ დიდი ხნის გამავლობაში აპირებს მუშაობას.



ლუის ენრიკე სეზონის ბოლოს ბარსელონას დატოვებს და კატალონიურ გუნდში უკვე აქტიურად ფიქრობენ მის შემცვლელზე.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება ბარსელონის მწვრთნელი მომავალ სეზონში.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ტელეფონის ზარი სილამაზის სალონში:

– ალო! გამარჯობათ, სილამაზის სალონია?

– დიახ, რა გნებავთ?

– რა ღირს წვერის გაპარსვა?

– ვისი, მამაკაცის?

●●●

ქმარი ცოლს ურეკავს და ეუბნება:

– მაპატიე, ძვირფასო, შერეკილი რომ გიწოდე.

– არა უშავს, შენ ეს ხომ ცხელ გულზე წამოგცდა.

– კი მაგრამ, ძვირფასო, რა ხმაურია, ტრანსპორტში ხარ?

– არა, მაცივრის საყინულეს მტვერსასრუტით ვწმენდ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მე მიმაჩნია, რომ ჭიქა სანახევროდაა სავსე.

– მინდა, მენახე ულრან ტყეში, ნახევრად მშრალი ასანთით, სანახევროდ გალესილი დანით, სანახევროდ დატენილი თოფით, გარშემორტყმული სანახევროდ მაძღარი დათვებით...

●●●

მთავარია, ადამიანში ღირსება იპოვო, თორემ ნაკლოვანებები თავად იჩენს თავს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– სად არიან ჩვენი დეპუტატები?

– გაიქცნენ.

– რატომ?

– სანიტარული სამსახურიდან შეტყობინება მიიღეს, რომ პარლამენტში პარაზიტების მოსასპობად დეზინფექცია უნდა ჩაატარონ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გამიგია, რომ ზოგიერთები მთვარესა და მარსზე მიწის ნაკვეთებს ყიდულობენ, არადა შეეძლოთ აქვე, ზღვის ფსკერზე ეყიდათ.

– მაგრამ იქამდე ვერ მიაღწევენ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ლუდს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის გასაუმჯობესებლად ვსვამ, თეთრ ღვინოს – უმადობის დროს, დაბალი წნევის დროს – წითელ ღვინოს, მაღალი წნევის დროს – კონიაკს, ანგინის დროს – არაყს.

– და წყალს?

– მასეთი დაავადება ჯერ არ მქონია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## ევა ბრაუნის საძინებელში აღმოჩენილი ჰიტლერის სურათები აუქციონზე გაიყიდება

ადოლფ ჰიტლერისა და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მშრომელთა პარტიის წევრების ფოტოსურათების ალბომი დიდ ბრიტანეთში აუქციონზე გაიყიდება. ამ ინფორმაციას აუქციონის სახლის კონსულტანტ ტიმ ჰარპერზე დაყრდნობით როიტერის სააგენტო ავრცელებს.

მისი თქმით, საბჭოთა ჯარისკაცებმა ისინი 1945 წელს ჰიტლერის მიწისქვეშა თავშესაფარში ევა ბრაუნის საძინებელში იპოვეს. მოგვიანებით ის ფოტოგრაფ ედვარდ დინსა და ბრიტანელ დიქტორ რიჩარდ დიმბლბის გადაეცათ, ამჟამად კი მისი მფლობელია კოლექციონერი, რომლის ვინაობა არ სახელდება.

ფოტოალბომშია ადოლფ ჰიტლერის სურათები იოზეფ გებელსთან, გერმან გერინგთან და ჰენრიხ ჰიმლერთან ერთად, ასევე კადრები, როდესაც მისი ავტოკოლონა გზას მიიკვლევს ხალხის მასაში, რომლებიც ფიურერს ესალმებიან.

ფოტოსურათების ავტორის ან ავტორების ვინაობა უცნობია. კონსულტანტის აზრით, ჰიტლერის ასეთი რაკურსით გადაღება მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, რომელსაც შესაბამისი ნებართვა ჰქონდა მიღებული. ფოტოალბომის სავარაუდო ღირებულება 18 ათას დოლარია.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლევან მჭედლიძის დაბრუნების თარიღი უცნობია



საქართველოს ნაკრებისა და ემპოლის ფორვარდ ლევან მჭედლიძეს ტრავმა ჯერჯერობით არ მოურჩენია და ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდის დაუბრუნდება ქართველი ფორვარდი მოედანს.

მჭედლიძის არყოფნა ემპოლის ძალიან დაეტყო და გუნდმა ზედიზედ 5 შეხვედრა წააგო, თუმცა ემპოლი გასავარდნ ზონაში არ იმყოფება. მჭედლიძის დაბრუნებას აპრილის პირველ რიცხვებში ვარაუდობენ, როდესაც ემპოლი რომას დაუპირისპირდება, მანამდე კი ლევანს დასვენება მოუწევს, რაც ძალიან ცუდია საქართველოს ნაკრებისთვის, რადგან 24 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი სერბეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს თორნიკე ოქრიაშვილიც დააკლდება.

## მარკო ვერატი ფრანგულ ჟურნალს სასამართლოში უჩივლებს



პსჟ-ს იტალიელმა ფეხბურთელმა მარკო ვერატიმ განაცხადა, რომ ფრანგულ ჟურნალ ეკიპს სასამართლოში უჩივლებს ცილისწამების გამო.

ეკიპმა გამოაქვეყნა სტატია, რომლის მიხედვითაც მარკო ვერატი თავის რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ბარსელონასთან მატჩის წინა დღეს პარიზის კლუბში იმყოფებოდა, რომელიც მან შუაღამისას დატოვა.

ფრანგული ჟურნალის თქმით, ბარსელონასთან გამანადგურებელი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო.

ვერატიმ ამ ინფორმაციას სიცრუე უწოდა და თავის ადვოკატებს დაავალა, რომ ამ ჟურნალს სასამართლოში უჩივლონ და ფულადი კომპენსაცია მოითხოვონ.

რა თანხაზეა საუბარი, ჯერჯერობით უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ნოუ კამპზე პსჟ-მ ბარსელონასთან 1:6 წააგო და ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა.

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა თურქეთ-საქართველოს საზღვარზე; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ბიზნესი, სავაჭრო საქმიანობა; 6. ფიჯის დედაქალაქი; 7. წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. უბანი ქუთაისში; 13. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ქუჩის ძველი ქართული სახელწოდება; 19. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი; 24. ფულის ერთეული პაკისტანში.

**თარაზულად**: 1. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 3. შემაგრებული ესპანური ღვინო; 8. აჭარული ცეკვა; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 15. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 23. მშიშარა, მხდალი ადამიანი; 25. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 26. ფრანგი მეზღაპრე; 27. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 28. ბავშვთა დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*